ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

№ 1 1958 წ.

შინაარსი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

1. საქართველოს სს რესპუბლიკაში საბინაო მშენებლობის განვითარების შესახებ.
2. ჩაის, ყურძნის, ხილის, თამბაქოს წარმოების, მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის დარგში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშების დაწესების შესახებ.
3. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში ხანძრების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ.
4. ომისა და შრომის ინვალიდთა შრომითი მოწყობის მდგომარეობის შესახებ.
5. „საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულების ღონისძიებებზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიური სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.
7. იმის შესახებ, რომ ნება დაერთოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გზატკეცილების მთავარ სამმართველოს დააწესოს სამკერდე ნიშანი „საპატიო მეგზური“.
8. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სასოფლო-სამეურნეო ბიოლოგიური მედიცინის მეცნიერებათა განყოფილების რეორგანიზაციის შესახებ.
9. საქართველოს სს რესპუბლიკაში სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო საქმიანობის კოორდინაციის საინფორმაციო ბიულეტენის გამოცემის შესახებ.

№ ქართული ბიბლიოთეკა

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.
11. საქართველოს სსრ სასოფლო რაიონებში ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებისა და დაწესებულებების სტრუქტურის შეცვლის შესახებ.
12. საქართველოს სსრ წყალსაცავებში თევზის მარაგის დაცვის გაძლიერებისა და ბრაკონიერობის ლიკვიდაციის ზომების შესახებ.
13. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოსთან ჯართის და შავი და ფერადი ლითონების ნარჩენების დამზადების გადამუშავებისა და გასაღების სამმართველოს „ვტორმეტი"-ს მოწყობის შესახებ.
14. მშენებლობაში ზედნადები ხარჯების შესახებ.
15. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარაგებისა და გასაღების მთავარი სამმართველოსა და დარგობრივი სამმართველოების მოწყობის შესახებ.
16. საქართველოს სსრ მეურნეობის საბჭოს საწარმოთა და მშენებლობათა სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების წესის შესახებ.
17. 1958—1960 წლებში მოსახლეობისათვის მისასყიდი ავეჯის წარმოების გადიდებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების შესახებ.
18. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს შექმნის შესახებ.
19. საქართველოს სსრ ქალაქებში, რაიონულ ცენტრებში, სადაბო და საკურორტო ადგილებში თვითნებური მშენებლობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და ინდივიდუალური საბინაო და სააგარაკო მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფის მოწესრიგების შესახებ.
20. იმ პირობების დამტკიცების შესახებ, რომელთა მიხედვითაც საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშები მიენიჭებათ რაიონებს ჩაის, ყურძნის, ხილის, თამბაქოს წარმოების, მეცხოველეობის, მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის დარგში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის.
21. „სასკოლო მშენებლობაში კოლმეურნეობებისათვის დახმარების გაწევის შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 10 აპრილის № 363 დადგენილების განხორციელების ღონისძიებათა შესახებ.
22. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლობის დებულების დამტკიცების შესახებ.
23. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან ბავშვთა და მოზარდთა მომწყობი კომისიების დებულების დამტკიცების შესახებ.
24. საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ბუნების დაცვის კომისიის დებულების შესახებ.
25. ახალი, 1958—1959 სასწავლო წლისათვის სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მომზადებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ.
26. რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სამუშაოდ სასოფლო რაიონების სკოლებში მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების შექმნის შესახებ.
27. საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების სოფლის მეურნეობის რაიონული ინსპექციების დებულების დამტკიცების შესახებ.

ეროვნული
მუზ. ბიბლიოთეკა

F2252

1 საქართველოს სს რესპუბლიკაში საბინაო მშენებლობის განვითარების შესახებ

(ამონაკრები)

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ საბინაო მშენებლობის ჩამორჩენის მიზეზების ღრმა ანალიზი და ამ საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებიც მოყვანილია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 31 ივლისის № 931 დადგენილებაში „სსრ კავშირში საბინაო მშენებლობის განვითარების შესახებ", მთლიანად ასახავენ საბინაო მშენებლობის მდგომარეობას საქართველოს სს რესპუბლიკაში.

„სსრ კავშირის საბინაო მშენებლობის განვითარების შესახებ" საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 31 ივლისის № 931 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმებში საბინაო მშენებლობის . მოცულობათა დაწესების დროს მხედველობაში იქონიონ, რომ საჭიროა მშრომელთა საცხოვრებელი ბინების ნაკლებობის ლიკვიდაცია უახლოესი 10—12 წლის განმავლობაში.

2. დაწესდეს საცხოვრებელი სახლების საექსპლუატაციოდ გადაცემისათვის სახელმწიფო საბინაო მშენებლობის 1956—1960 წლების მოცულობა 2.100 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობით, აქედან: 1958 წელს—400 ათასი კვადრატული მეტრი, 1959 წელს—524 ათასი კვადრატული მეტრი და 1960 წელს—600 ათასი კვადრატული მეტრი.

3. გადიდდეს 1956—1960 წლებისათვის საბინაო მშენებლობის მოცულობა ქალაქებში, ქალაქის ტიპის დაბებში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სატყეო-სამრეწველო მეურნეობებში მოსახლეობის სახსრების ხარჯზე და სახელმწიფო კრედიტის დახმარებით, 1956—1957 წლებში საექსპლუატაციოდ გადაცემული საცხოვრებელი ფართობის გათვალისწინებით, 1.900 ათას კვადრატულ მეტრამდე საერთო ფართობით, აქედან 1958 წელს — 320 ათასი კვადრატული მეტრი, 1959 წელს—530 ათასი კვადრატული მეტრი და 1960 წელს — 705 ათასი კვადრატული მეტრი.

4. გაფართოვდეს მოცულობა საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა კოლმეურნეობებში კოლმეურნეთა და სოფლის ინტელი-

საქართველოს სსრ-ის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას, საქართველოს სს რესპუბლიკაში მშენებლობის მოცულობის დაწესების შემდეგ, წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად კოლმეურნეებისა და სოფლის ინტელიგენციისათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ყოველწლიური მოცულობანი ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის და საქართველოს სსრ რაიონების მიხედვით.

6. დაეკისროს, 1958 წლიდან დაწყებული, იმ საბინაო კულტურულ-საყოფაცხოვრებო და კომუნალური მშენებლობის შემკვეთის მოვალეობანი, რომელიც ქ. თბილისში სრულდება საიჯარო წესით, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს.

8. საბინაო მშენებლობის განვითარების მიზნით, დაევალოს საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, საქალაქო აღმასკომებს, საწარმოთა, სამეურნეო ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს:

ა) ყოველნაირად დაეხმარონ და ხელი შეუწყონ საბინაო მშენებლობის ფართოდ გაშლას სამრეწველო საწარმოთა ძალებით, მუშა-მოსამსახურეთა შრომითი, მონაწილეობით, როგორც საბინაო პირობების უსწრაფესად გაუმჯობესებისათვის საყოველთაო-სახალხო მოძრაობის დასაწყისს, როგორც მაღალი სოციალისტური შეგნებულობის მაგალითს;

ბ) ფართოდ განუმარტონ მუშებსა და მოსამსახურეებს მათი უფლებები, მშენებლობის პირობები და შეღავათები, როდესაც ისინი განახორციელებენ საცხოვრებელი სახლების მშენებლობას საკუთარი ძალებით საწარმოთა მუშებისა და მოსამსახურეების შრომითი მონაწილეობით;

გ) დახმარება გაუწიონ საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ფართოდ გაშლას მუშა-მოსამსახურეთა სახსრებით და სახელმწიფო კრედიტის დახმარებით.

საწარმოებისა და დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის მოწყობისათვის პასუხისმგებლობა დაეკისროთ ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელებს. ინდივიდუალურ მენაშენეთა დაბების ტერიტორიაზე გზების, საინჟინერო კომუნიკაციების და ელექტრომომარაგების ხაზების მშენებლობა უნდა ხორციელდებოდეს იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების ხარჯზე, სადაც ინდივიდუალური მენაშენეები მუშაობენ, ისე, რომ ამ სამუშაოთა შესრულებაში მონაწილეობა მიიღონ თვით მენაშენეებმა.

10. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს მოაწყონ ხის დამმუშავებელ საწარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოებში, რომლებიც სადურგლო ნაკეთობებს ამზადებენ, დახერხილი მასალის ბუნებრივი შრობა, ამასთან გაითვალისწინონ გეგმებით, 1958 წლიდან დაწყებული, ბუნებრივი შრობისათვის დახერხილი მასალების შეუმცირებელი მარაგი.

დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების წლიური გეგმების შედგენისას გათვალისწინებულ უნდა იქნას ხე-ტყის მასალის საერთო ფონდებში დახერხილი მასალის სპეციალური ფონდები სადურგლო ნაკეთობათა წარმოებისა და აღნიშნული შეუმცირებელი მარაგის შექმნისათვის.

11. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს სავსებით გამოიყენონ დაქვემდებარებულ საწარმოთა სიმძლავრენი საბინაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და კომუნალური მშენებლობისათვის საჭირო მასალების, დეტალების, ნაკეთობათა და მოწყობილობის დასამზადებლად დაწესებული გეგმის გადამეტებით, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ საკავშირო მთავრობის დადგენილების შესაბამისად, დეტალები, ნაკეთობანი და მოწყობილობა, რაც დამზადებულია გეგმის ზევით ადგილობრივი ინიციატივის გამოჩენის წესით, პირველ რიგში უნდა მოხმარდეს საბინაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და კომუნალური მშენებლობის საჭიროებათა დაკმაყოფილებას.

12. ვინაიდან საკავშირო მთავრობის დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთები ინდივიდუალური მშენებლობის დაბებში გამოეყოფათ საწარმოებსა და დაწესებულებებს იმ ვარაუდით, რომ შემდეგში ეს ნაკვეთები მიემაგროთ ამ ორგანიზაციებში მოუშავე ცალკეულ მენაშენეებს, — რჩევა მიეცეთ ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს გამოუყონ საწარმოებსა და ორგანიზაციებს მიწის ნაკვეთები ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის დაბების სახით იმ ანგარიშით, რომ მათი განაშენიანება მოხდეს 3—5 წლის განმავლობაში.

13. რჩევა მიეცეთ საწარმოებს, ორგანიზაციებს და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს ნება დართონ და წაახალისონ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა ტიპობრივი პროექტებით ინდივიდუალურ მენაშენეთა ძალებით შრომითი ურთიერთდახმარების საფუძველზე, ამასთან შენარჩუნებულ იქნას ერთ ბინაზე ერთი მენაშენის პირადი საკუთრების უფლებები.

დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფოსაგეგმო კომისიას და ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს ერთი თვის ვადაში წარმოადგინონ წინადადებანი იმის შესახებ, რომ შეტანილ იქნას სათანადო ცვლილებანი ინდივიდუალური მშენებლობისა და საბინაო-სამშენებლო კოლექტივების ორგანიზაციის არსებულ დებულებებში.

14. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომებს შეარჩიონ არსებულთა რიცხვიდან ტიპობრივი პროექტები ინდივიდუალური მშენებლობისათვის, ადგილობრივი საყოფა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრებო და კლიმატური პირობების, აგრეთვე საშენი მასალების არსებული რაოდენობის გათვალისწინებით. გამოსცენ მასობრივი ტირაჟით პროექტები და რეკომენდაციები — რჩევა-დარიგება მენაშენეებს.

15. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, აგრეთვე საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს:

ა) უზრუნველყონ ინდივიდუალური მენაშენეები საშენი მასალებით, სამშენებლო დეტალებით, საღურგლო და კავეულის ნაკეთობებით და სანიტარულ-ტექნიკური მოწყობილობით, აგრეთვე დახმარება გაუწიონ მათ სატრანსპორტო საშუალებებით, ისე, რომ ანაზღაურებულ იქნას მასალებისა და ტრანსპორტის ღირებულება დადგენილი წესით;

ბ) უზრუნველყონ საშენი მასალების მოპოვებისა და წარმოების მნიშვნელოვანი განვითარება, მაქსიმალურად გამოიყენონ ადგილობრივი საშენი მასალები (მონაგლეჯი და თლილი ქვა, გაჯი, კირი, ხრეში) საბინაო მშენებლობისათვის.

16. ვინაიდან მშრომელთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის ზრუნვა წარმოადგენს პროფესიულ კავშირთა დიდმნიშვნელოვან საქმეს, დაევალოს საქართველოს პროფსაბჭოს, პროფკავშირთა რესპუბლიკურ და ადგილობრივ კომიტეტებს:

ა) გააძლიერონ საზოგადოებრივი კონტროლი სახელმწიფო საბინაო მშენებლობის გეგმების შესრულებისადმი;

ბ) ფართო დახმარება აღმოუჩინონ საბინაო მშენებლობის გაშლას საწარმოების სახსრებით მუშა-მოსამსახურეთა შრომითი მონაწილეობით;

გ) მოაწყონ მშენებელთა კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრება საბინაო მშენებლობის სამუშაოთა დროზე შესრულებისა და იმისათვის, რომ დამზადდეს დაწესებული გეგმების გადამეტებით საშენი მასალები, ნაკეთობანი და დეტალები საბინაო მშენებლობისათვის;

დ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მენაშენეებს, ამასთან ხელი შეუწყონ მათ იმ მხრივ, რომ მიიღონ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოებისა და საწარმოებისაგან საჭირო მატერიალური და ტექნიკური დახმარება.

17. დაევალოს საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, საოლქო აღმასკომს და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს მიიღონ გადამწყვეტი ზომები კოლმეურნეობებში საბინაო მშენებლობის გაძლიერებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭიროდ ჩაითვალოს, რომ მნიშვნელოვნად გაფართოვდეს საკოლმეურნეო და საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოების ქსელი და გადიდდეს ადგილობრივი საშენი მასალების, კონსტრუქციებისა და დეტალების წარმოება და მოპოვება. ყველგან მოეწყოს საცხოვრებელი სახლების მშენებლობა კოლმეურნეობებში საკოლმეურნეო სამშენებლო ბრიგადების და საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების ძალებით.

18. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ კოლმეურნეობებს იმ მხრივ, რომ მოამარაგონ ზემოჩამოთვლილი საწარმოები და ორგანიზაციები მოწყობილობითა და სათადარიგო ნაწილებით.

19. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს მოაწყოს სტანდარტული სახლების, საშენი მასალების, ნაკეთობათა და დეტალების გაყიდვა მუშა-მოსამსახურეთა ინდივიდუალური მშენებლობისათვის იმ საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მეშვეობით, სადაც ისინი მუშაობენ.

ცეკავშირის გამგეობამ გახსნას სარაიონთაშორისო მაღაზიები, რომლებიც კოლმეურნეობებს მიყიდიან ადგილობრივი და კოოპერაციული მრეწველობის საწარმოების მიერ დამზადებულ სამშენებლო კონსტრუქციებსა და დეტალებს, სადურგლო ნაკეთობებს, საკედლე მასალებს, კირს, ალებასტრსა და სხვა შემკვრელ მასალებს.

20. იმასთან დაკავშირებით, რომ 1959 წლის 1 იანვრიდან მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებსა და სამრეწველო ქალაქებში შემოღებულია საბინაო მშენებლობისათვის კაპიტალურ დაბანდებათა დაგეგმვის ახალი წესი, ერთი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის საშუალო ღირებულების საფუძველზე, დაევალოს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს 1959 წლის 1 აპრილისათვის წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი ქ. თბილისში ერთი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის ღირებულების დაწესების შესახებ.

21. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას, დაინტერესებულ ორგანიზაციებთან საკითხის შეთანხმების შემდეგ, წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად 1958 წლის 1 აპრილისათვის საქართველოს სსრ ქალაქების სხვადასხვა ტიპის საცხოვრებელ სახლებში ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის რაიონობრივი საპრეისკურანტო ფასები.

22. დაევალოს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს 1958 წლის 1 ივლისამდე შეიმუშაოს ისეთი ეკონომიური საცხოვრებელი სახლების ტიპობრივი პროექტები, რომლებიც თავიანთი ხარისხის, კეთილმოწყობის, გეგმური და კონსტრუქციული გადაწყვეტის მხრივ უახლოესი 3—5 წლისათვის გახდებოდნენ ინდივიდუალური და საკოლმეურნეო საბინაო მშენებლობის ნიმუშად.

23. დაევალოს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს განახორციელოს 1958 წელს საცხოვრებელი სახლების საჩვენებელი მშენებლობა ახალი ეკონომიური ტიპობრივი პროექტების მიხედვით.

*

* *

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ რწმენას, რომ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები საწარმოთა და დაწესებულებათა მშენებლობის მრავალრიცხოვან კოლექტივთან ერთად არ დაზოგავენ ძალღონეს, რათა განახორციელონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 31 ივლისის დადგენილება „სსრ კავშირში საბინაო მშენებლობის განვითარების შესახებ“ და უცილობლივ გადაწყვეტენ საყოველთაო-სახალხო ამოცანას — უახლოეს წლებში აღმოიფხვრას ჩვენს რესპუბლიკაში საცხოვრებელი ბინების ნაკლებობა.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი**

ქ. თბილისი, 1958 წ. 31 იანვრის № 78.

---

2 **ჩაის, ყურძნის, ხილის, თამბაქოს წარმოების, მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის დარგში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშების დაწესების შესახებ.**

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. დაწესდეს ჩაის, ყურძნის, ხილის, თამბაქოს წარმოების, მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის დარგში საუკეთესო მაჩვენებლების მიღწევისათვის საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშები იმ რაიონებისათვის გადასაცემად, რომლებმაც გაიმარჯვეს სოციალისტურ შეჯიბრებაში და მიაღწიეს საუკეთესო შედეგებს ჩაის, ყურძნის, ხილის, თამბაქოს, თუთის აბრეშუმის ჭიის პარკის და მეფუტკრეობის პროდუქციის მოსავლიანობისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების ხაზით.

2. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა მეჩაიეობაში მაღალი მაჩვენებლების მიღწევისათვის გადაეცემა წელიწადში ორჯერ ჩაის საგაზაფხულო კრეფის შედეგების მიხედვით — ივლისში და საშემოდგომო კრეფის შედეგების მიხედვით — ოქტომბერში.

რაიონს, რომელმაც გარდამავალი წითელი დროშა მიიღო, იმავდროულად გადაეცემა 30 ათასი მანეთი სოფლის მეურნეობის წარჩინებულ მუშაკთა დასაჯილდოებლად.

მევენახეობის, მებაღეობის, მეთამბაქოობის, მეაბრეშუმეობის, მეფუტკრეობის დარგში მაღალი მაჩვენებლების მიღწევისათვის საქართველოს კპ ც.კ-ის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშის მინიჭება მოხდება წელიწადში ერთხელ.

რაიონს, რომელმაც საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწია ჩამოთვლილი დარგებიდან ერთერთ დარგში, გარდამავალი წითელი დროშის მინიჭებასთან ერთად გადაეცემა 30 ათასი მანეთი სოფლის მეურნეობის წარჩინებულ მუშაკთა დასაჯილდოებლად.

მეცხოველეობაში მაღალი მაჩვენებლების მიღწევისათვის საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშის მინიჭება იწარმოებს ყოველკვარტალურად, ამასთან დაწესდება საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წითელი დროშა ცალკე დასავლეთ საქართველოს რაიონებისათვის (აჭარის ასსრ და აფხაზეთის ასსრ რაიონების ჩათვლით), აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რაიონებისათვის. წითელი დროშის გადაცემასთან ერთად სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ რაიონს გადაეცემა 25 ათასი მანეთი სოფლის მეურნეობის წარჩინებულ მუშაკთა დასაჯილდოებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. მიენდოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეიმუშაოს და დაამტკიცოს 1958 წელს რაიონებისათვის გარდამავალი წითელი დროშების მინიჭების პირობები, რესპუბლიკის თავისებურებათა გათვალისწინებით.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ვ. მუავანაძე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
გ. ჯავახიშვილი

ქ. თბილისი, 1958 წ. 15 მარტის № 165

---

3 საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში ხანძრების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ.

(ამონაკრეფი)

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში სახანძრო უსაშიშროების გაძლიერების მიზნით, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთის და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომმა, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა:

ა) ერთი თვის ვადაში განიხილონ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს და მისი პერიფერიული ორგანოების წინადადებანი საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის მდგომარეობის შესახებ და მიიღონ კონკრეტული ზომები სახანძრო უშიშროების გაძლიერებისათვის;

ბ) განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი ნებაყოფლობითი ხანძარსაწინააღმდეგო ფორმირებათა ორგანიზაციული განმტკიცებისათვის, განსაკუთრებით სოფლად.

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების განვითარებას (აუზების, წყალსატევების მშენებლობა და სხვა) უპირველეს ყოვლისა ქალაქების და რაიონების უწყლო უბნებში, აგრეთვე პირდაპირი სატელეფონო კავშირის განვითარებას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 15 აპრილის № 445 დადგენილების შესაბამისად, არ დაუშვან ისეთი შენობებისა და ნაგებობების გადაცემა საექსპლუატაციოდ, რომლებსაც სამშენებლო და სახანძრო დეფექტები ექნებათ;

ე) კატეგორიულად აკრძალონ კინოსურათების ჩვენება ისეთ შენობებში, რომლებიც მოწყობილი არ არიან ამ მიზნისათვის და რომლებსაც არ გააჩნიათ კინოსაპროექციო კამერები; არ გაატარონ კულტურულ-მასობრივი ღონისძიებანი ისეთ შენობებში, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ სახანძრო უშიშროების წესებსა და ნორმებს;

ვ) ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ და ხელი შეუწყონ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს და მის პერიფერიულ ორგანოებს მათ მიერ სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ფუნქციების განხორციელების საქმეში.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს მიმდინარე წლის მარტსა და აპრილში განიხილონ მათდამი დაქვემდებარებულ ობიექტებზე სახანძრო უშიშროების მდგომარეობის საკითხი, მიიღონ ქმედითი ზომები ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისათვის და სასტიკი კონტროლი გაუწიონ ამ საკითხზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულება.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ცეკავშირს შემოიტანონ რესპუბლიკაში სახანძრო ინვენტარი და მოწყობილობა (ქიმიური ცეცხლსაქრობები, მოტოპომპები, სახელურები და სხვ.) კოლმეურნეობებისათვის მისასყიდად.

4. დაევალოს ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს ნებაყოფლობით სახანძრო საზოგადოებას მოაწყონ წვრილი სახანძრო ინვენტარის დამზადება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ობიექტების მოსამარაგებლად, რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების განაცხადების თანახმად.

5. საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით, ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავისი წინადადებანი ხანძრის ქრობის მიზნებისათვის რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში წყალმომარაგების შემდგომი განვითარების შესახებ.

6. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ:

ა) მუდმივი ტექნიკური კონტროლი გაუწიოს კინოდანადგარების, განსაკუთრებით მოძრავი კინოდანადგარების, მუშაობას ქალაქებსა და სოფელ ადგილებში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მოაწყოს კინომექანიკოსთა კვალიფიკაციის ამაღლება და არ დაუშვას კინოდანადგარებზე სამუშაოდ მოუმზადებელი ადამიანები.

გ) გაითვალისწინოს 1958—1959 წლებში საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს მიერ მომზადებული სახანძრო-ტექნიკური ლიტერატურის გამოცემა ქართულ ენაზე;

დ) მოახდინოს არსებული ხანძარსაწინააღმდეგო კინოფილმების დუბლირება ქართულ ენაზე.

7. დაევალოს საქართველოს პროფსაბჭოს და საქართველოს ალკ ცენტრალურ კომიტეტს უზრუნველყონ პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ობიექტებზე სახანძრო უშიშროების ღონისძიებათა განხორციელებაში და ნებაყოფლობითი სახანძრო ფორმირებათა განმტკიცებაში, განსაკუთრებით სოფლად.

8. დაევალოს საქართველოს სარეწაო საბჭოს გადასცეს საერთო საფუძვლებზე ქიმიურ ცეცხლსაქრობთა მუხტების წარმოება მოწყობილობითა და ნედლეულით საქართველოს ნებაყოფლობითს სახანძრო საზოგადოებას.

9. დაევალოს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს:

ა) მთლიანად გამოიყენოს სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის უფლებები როგორც იმ ობიექტთა ექსპლუატაციის დროულად შეწყვეტის ნაწილში, რომლებიც უშიშროების წესებს ვერ აკმაყოფილებენ, ისე იმ პირთა მიმართაც, რომლებიც ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებსა და წესებს არ ასრულებენ. სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ფუნქციების განხორციელებაში ბოროტი განზრახვით წამოჭრილ დაბრკოლებათა შესახებ მოახსენოს საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

ბ) გააუმჯობესოს საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოებისა და მისი პერიფერიული ორგანოებისადმი ხელმძღვანელობა, აღმოუჩინოს დახმარება და კონტროლი გაუწიოს მათ მუშაობას.

* *
*

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ავალებენ საწარმოების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს სახანძრო უშიშროების ზომების გაძლიერება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიჩნიონ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმედ და აფრთხილებენ, რომ მათ ეკისრებათ პერსონალური პასუხისმგებლობა დაქვემდებარებული ობიექტების სახანძრო უშიშროების უზრუნველყოფისათვის.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მეტავანაძე**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი**

ქ. თბილისი, 1958 წ. 15 მარტის № 166.

---

4 **ომისა და შრომის ინვალიდთა შრომითი მოწყობის მდგომარეობის შესახებ.**

(ამონაკრები)

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოს საქართველოს სარეწაო საბჭოს და საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს უახლოეს დროში აღმოფხვრან მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოებში ინვალიდთა შრომითი მოწყობისა და შრომის ორგანიზაციის მხრივ არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ შრომითს საქმიანობაში ინვალიდთა მაქსიმალურად ჩაბმისა და წარმოებაში მათი დამაგრებისათვის სათანადო პირობების შექმნის საკითხებს.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს 1958 წლის 1 ივლისამდე ჩაატაროს რესპუბლიკაში მესამე ჯგუფის არამომუშავე ინვალიდთა აღრიცხვა პროფესიების მიხედვით; ამასთან გამოარკვიოს, თუ რამდენად შესაძლებელია მათი გამოყენება სპეციალობის მიხედვით სახალხო მეურნეობის დარგებში.

3. საჭიროდ ჩაითვალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, ვაჭრობის სამინისტროს, ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს და კულტურის სამინისტროს საწარმოების ფართო მონაწილეობა ინვალიდთა შრომითს მოწყობაში.

დაუწესდეთ რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს 1958—1959 წლებისათვის მესამე ჯგუფის ინვალიდთა შრომითი მოწყობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავალება: საქართველოს სარეწაო საბჭოს — 1.500 კაცისა, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს — 600 კაცისა, ვაჭრობის სამინისტროს — 400 კაცისა, ცეკავშირს — 200 კაცისა, ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს — 300 კაცისა, კულტურის სამინისტროს — 300 კაცისა.

დაევალოს სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს უზრუნველყოს 1958—1959 წლებში უსინათლოთა და ყრუმუნჯთა სრულად ჩაბმა შრომითს საქმიანობაში, ამასთან ჩაატაროს საჭირო მუშაობა ამ კონტინგენტისათვის სათანადო საწარმოების შესაქმნელად.

4. ინვალიდთა გეგმაშეზომილი მომზადებისა და მათ მიერ შრომითი სპეციალობის დაუფლების უზრუნველყოფის მიზნით, დაწესდეს 1958—1959 წლებისათვის ამ კონტინგენტის კადრების მომზადების დავალება საკურსო ღონისძიებებში, სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს პროფსკოლებსა და საწარმოო მოწაფეობაში ჩაბმის გზით; სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სისტემაში (უსინათლოთა და ყრუმუნჯთა საზოგადოების ჩათვლით) — 1.100 კაცის, საქართველოს სარეწაო საბჭოს სისტემაში — 1.000 კაცის, ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში — 300 კაცის, ცეკავშირის სისტემაში — 100 კაცის, ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს სისტემაში — 200 კაცის რაოდენობით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ გაითვალისწინოს აღნიშნული დავალება კადრების მომზადების გეგმით.

5. დაევალოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსთან, საქართველოს სარეწაო საბჭოსთან და ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროსთან ერთად მიმდინარე წლის 1 ივლისისათვის შეიმუშაოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს წინადადებანი იმ წარმოებათა განვითარებისა და სპეციალიზაციის შესახებ, სადაც ინვალიდთა შრომის გამოყენება შეიძლება. ამასთან გაითვალისწინონ, რომ საჭიროა სავსებით ეცდაეცეს ინვალიდთა არტელებს და წარმოებითს საწარმოებს ქაღალდისა და მუყაოს საქმე, დაფასოების ოპერაციები, ლითონის ნაკეთობათა დაშტამპვა, თოკის წარმოება, საბნისა და ლეიბის წარმოება და სხვა წარმოებანი, სადაც შესაძლებელია უსინათლოთა, ყრუმუნჯთა და სხვა ინვალიდთა შრომის მაქსიმალურად გამოყენება.

6. დაევალოს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს და საქართველოს სარეწაო საბჭოს გააძლიერონ ზედამხედველობა და უზრუნველყონ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსაშიშროების ტექნიკის და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა წესების დაცვა არტელებსა და წარმოებითს საწარმოებში.

დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარ სანიტარულ ინსპექტორს და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს პირადად გაუწიონ კონტროლი აღნიშნული ობიექტების სანიტარულ და ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობას და მიიღონ საჭირო ზომები ამ საქმეში სათანადო წესრიგის დასამყარებლად.

7. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას, იმ სამინისტროებისა და უწყებათა ხელმძღვანელებს, რომელთა საწარმოებშიც ხდება ინვალიდთა შრომის გამოყენება, უზრუნველყონ ამ საწარმოების შეუფერხებლივ მოპირაგება ნედლეულით, მასალებითა და ტექნოლოგიური მოწყობილობით, სისტემატურად მიიღონ ზომები ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაციისა და წარმოებაში ინვალიდთა დამაგრებისათვის.

8. დაევალოს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს გაიღლიერონ კონტროლი ყრუმუნჯთა და უსინათლოთა საზოგადოებების არტელებისა და წარმოებითი საწარმოების საქმიანობისადმი, აღმოუჩინონ მათ დახმარება მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში და სისტემატურად იმუშაონ ინვალიდთა შრომითი მოწყობის საკითხებზე.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. მჟავანაძე	**გ. ჯავახიშვილი**

ქ. თბილისი, 1958 წ. 12 აპრილის № 248.

---

5 **„საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულების ღონისძიებებზე.**

(ამონაკრეფი)

კოლმეურნეობებმა მანქანა-ტრაქტორთა სადგურებიდან მიიღეს 2979 ტრაქტორი, 1161 კომბაინი სათანადო იარაღებითა და მისაბმელი ინვენტარით. კოლმეურნეობების მიერ მიღებული ტრაქტორები მაღალნაყოფიერად მუშაობენ საკოლმეურნეო მინდვრებში. მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში დატოვებულია მძლავრი ტრაქტორები და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძიმე სასოფლო-სამეურნეო იარაღები კოლმეურნეობებში სპეციალური სამუშაოების შესასრულებლად (პლანტაჟი, მიწის სათხრელი, სამელიორაციო სამუშაოები და სხვ.).

„საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ" საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 18 აპრილის № 425 დადგენილების განსახორციელებლად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მიღებულ იქნას საქართველოს კპ რაიკომების, რაიაღმასკომების და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინადადებანი მტს-ების რეორგანიზაციისათვის შემდეგ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ:

ა) არსებული 95 მტს-დან რეორგანიზებულ იქნას 63 და ლიკვიდირებულ იქნას 32 მტს.

რეორგანიზებული და ლიკვიდირებული მტს-ების ბაზაზე შეიქმნას 61 სარემონტო-ტექნიკური სადგური 13 განყოფილებით №№ 1 და 2 დანართების თანახმად,[1] აგრეთვე სამეურნეო ანგარიშზე — 2 საერაონთაშორისო სამანქანო-სამელიორაციო სადგური ოჩამჩირის მეორე და სართიჭალის მტს-ების ბაზაზე;

ბ) ჩრდილოეთ კავკასიის საზამთრო საძოვრებზე არსებული მეცხოველეობის სამანქანო სადგური შენარჩუნებულ იქნას მოქმედი ფუნქციებით და მისი შენახვა მოხდეს სახელმწიფო ბიუჯეტზე.

გ) დროებით დარჩეს იმ კოლმეურნეობათა საწარმოო-ტექნიკური მომსახურება, რომლებსაც შესაძლებლობა არა აქვთ ამჟამად შეიძინონ ტრაქტორები და სხვა მანქანები და არ შეუძლიათ ეფექტურად გამოიყენონ ეს ტექნიკა, 17 სარემონტო-ტექნიკური სადგურის ჩვენებით, № 3 დანართის თანახმად.[2]

2. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ათი დღის ვადაში წარუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი გომარეთის და ტიბაანის გაუქმებული მტს-ების საწარმოო და სხვა სადგომების გამოყენების შესახებ.

3. ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების ტექნიკური მდგომარეობის სწორად შეფასების, გასაყიდი ფასის დაწესების, კოლმეურნეობათა მიერ იმ ტექნიკის ანაზღაურებისა ვადების დადგენის მიზნით, რომელსაც ისინი ყიდულობენ, შეუკანონ

---

[1] დანართები არ ერთვის

[2] დანართი არ ერთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნან წინათ შექმნილ რაიონულ კომისიებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საფინანსო ორგანოების წარმომადგენლები.

დამტკიცებულ იქნან რაიონული კომისიების წევრებად, როგორც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმომადგენლები, ამხანაგები, თანდართული სიის თანახმად (დანართი № 4)[3].

4. დაეკისროთ რაიონულ კომისიებს ტექნიკის ტექნიკური მდგომარეობისა და გაცვეთის შეფასება, კოლმეურნეობებისათვის მისაყიდი მანქანებისა და შენობების გასაყიდი ფასის დაწესება, აგრეთვე კოლმეურნეობათა მიერ იმ ტექნიკისა და სადგომების საფასურის გადახდის ვადების დადგენა, რომლებსაც ისინი ყიდულობენ.

ნება დაერთოს კომისიებს ჩააბან მუშაობაში მტს-ების, საბჭოთა მეურნეობების, მექანიზაციის სკოლების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების, სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების კვალიფიციური სპეციალისტები იმ ტექნიკის ტექნიკურ მდგომარეობისა და გაცვეთის გამოსარკვევად, რომელიც კოლმეურნეობებს უნდა მიეყიდოს მანქანა-ტრაქტორთა სადგურებიდან.

5. დაევალოთ საქართველოს კპ რაიკომებს და რაიაღმასკომებს განუმარტონ კოლმეურნეობებს, რომ ისინი შეიძენენ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში ტრაქტორებს, სასოფლო-სამეურნეო მანქანებს და იარაღებს ნაღდ ანგარიშზე ან ფასის ნაწილ-ნაწილად გადახდით.

წინადადება მიეცეთ რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს მიმდინარე წლის 15 მაისამდე განიხილონ და დაამტკიცონ რაიაღმასკომების სხდომებზე იმ კოლმეურნეობათა სიები, რომლებიც მოითხოვენ შეძენილი ტექნიკის ღირებულების გადახდის განვადებას 2—3 წლამდე და დააწესონ მათ მიერ ნაყიდი ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა მანქანა-იარაღების, აგრეთვე ლიკვიდირებული მტს-ების შენობების ღირებულების დაფარვის კალენდარული ვადები; ამავე ვადისათვის წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად იმ კოლმეურნეობათა სიები, რომლებიც საჭიროებენ კოლმეურნეობათა მიერ შეძენილი ტექნიკისა და შენობების ღირებულების გადახდის განვადებას 3 წელზე მეტი ხნის ვადით, მაგრამ არაუმეტეს 5 წლისა.

6. დაევალოს საქართველოს კპ რაიკომებს და რაიაღმასკომებს განუმარტონ კოლმეურნეობებს, რომ:

ა) გადასახდელთა განვადების დროს კოლმეურნეობები სასოფლო-სამეურნეო ბანკის დაწესებულებებს აძლევენ ვალდებულებებს,

[3] დანართი არ ერთვის.

საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებშიაც აღინიშნება მათ მიერ ნაყიდი მანქანებისათვის ხვედრ გადასახდელთა დაფარვის ვადები და თანხების ოდენობა; ამ გადასახდელებზე, თუ ისინი დანიშნულ ვადაში იქნა გადახდილი, პროცენტები არ გადახდებათ. უკეთუ კოლმეურნეობამ დროზე ვერ დაფარა დავალიანება, იგი მოვალეა გადაიხადოს გადაუხდელი თანხის გადაცილების დროისათვის პროცენტები იმ რაოდენობით, რაც დაწესებულია სასოფლო-სამეურნეო ბანკის ვადაგასული სესხებისათვის;

ბ) მიმდინარე, 1958 წლიდან დაწყებული, ახალი ტრაქტორები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები, მექანიზმები და მოწყობილობა, რომლებიც საჭიროა სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის, თავისუფლად მიეყიდებათ კოლმეურნეობებს ნაღდ ანგარიშზე ან ამ მიზნისათვის კრედიტის მიცემით;

გ) გასაწვევი ასაკის ტრაქტორისტებისა და კომბაინერებისათვის, რომლებიც ამთავრებენ სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლებს და სპეციალობის მიხედვით მუშაობენ კოლმეურნეობებსა და სარემონტო-ტექნიკურ სახელოსნოებში, შენარჩუნებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის 21 სექტემბრის № 2458 დადგენილების იმ ნაწილის მოქმედება, რომელიც შეეხება სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან განთავისუფლებას სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ორი წლის განმავლობაში;

დ) კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები და ორგანიზაციები წარუდგენენ ანგარიშებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულების მიმდინარეობის შესახებ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს რაიონულ ინსპექციას, რომელიც უზრუნველყოფს ნაკრები საანგარიშო მონაცემების დროულად წარდგენას სოფლის მეურნეობის რაიონული ინსპექციისათვის.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ერთი კვირის ვადაში გაიხილოს და გადაჭრას გაუქმებული მტს-ების საცხოვრებელი, საწარმოო და სხვა შენობათა გამოყენების საკითხი.

8. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს შექმნას 32 მტს-ის სალიკვიდაციო კომისია, ამასთან დაამთავროს მათი ლიკვიდაცია 1958 წლის 1 ივნისისათვის. იმავდროულად, მიიღოს ზომები სადაზგო მოწყობილობის, ხელსაწყოებისა და ინსტრუმენტების, ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების, ავტოტრანსპორტისა და სხვა ქონების გამოყენებისათვის სარემონტო-

მუხ. ეროვნული ბიბლიოთეკა

ტექნიკური სადგურების დასაკომპლექტებლად, ლიკვიდირებული მტს-ების განთავისუფლებული მუშაკები გამოიყენოს კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სარემონტო-ტექნიკურ სადგურებში, სოფლის მეურნეობის რაიონულ ინსპექციებსა და სოფლის მეურნეობის სისტემის სხვა დაწესებულებებში სამუშაოდ.

9. დაევალოთ საქართველოს კპ რაიკომებს და რაიაღმასკომებს ერთი თვის ვადაში უზრუნველყონ, რათა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წარუდგინონ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმდინარე წლის მეორე ნახევრისათვის გასაცხადები ტრაქტორებსა, სასოფლო-სამეურნეო მანქანებსა და მოწყობილობაზე, ამასთან გაითვალისწინონ, რომ საჭიროა უცილობლივ შესრულდეს სატრაქტორო და მექანიზებულ სამუშაოთა 1958 წლისათვის დაწესებული საწარმოო გეგმა, აგრეთვე მაღალნაყოფიერად გამოიყენონ ტექნიკა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ორი კვირის ვადაში განიხილოს საკითხი, რომ მოეწყოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებში ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილების წარმოება.

11. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს:

ა) მიმდინარე წლის 1 აგვისტომდე წარმოუდგინოს მინისტრთა საბჭოს იმ ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების სია, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო წარმოების პირობების მიხედვით არ შეიძლება გამოყენებულ იქნან რესპუბლიკის ფარგლებში;

ბ) სამანქანო-სატრაქტორო პარკის სარემონტო სამუშაოთა შესრულებაში სარემონტო-ტექნიკური სადგურებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობებისათვის დახმარების გაძლიერების მიზნით, ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს წინადადებანი დიღმის სარემონტო ქარხნის, აბაშისა და წნორის კაპიტალური რემონტის სარაიონთაშორისო სახელოსნოების განმტკიცების შესახებ, ამასთან იქონიოს მხედველობაში, რომ მათ უნდა დაეკისროს სარემონტო-ტექნიკური სადგურების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების კუთვნილი ავტომობილების, ავტოსატრაქტორო და სტაციონარული ძრავების, სადაზგო, ელექტროძალოვანი და სხვა ტექნოლოგიური მოწყობილობის კაპიტალური რემონტის წარმოება, აგრეთვე არასტანდარტული სარემონტო მოწყობილობის დამზადება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს მინისტრთა საბჭოს პროექტი სოფლის მეურნეობის რაიონული ინსპექციების დებულებისა, რესპუბლიკის ცალკეული რაიონების პირობების გათვალისწინებით.

12. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას:

ა) ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს მინისტრთა საბჭოს წინადადებანი სარემონტო-ტექნიკურ სადგურებში ტრაქტორების, ავტომობილებისა და რთულ სასოფლო-სამეურნეო მანქანათა ძრავების, აგრეგატებისა და კვანძების რაოდენობის შესახებ, რომლებიც საჭიროა საცვლელი ფონდის შესაქმნელად;

ბ) ორი თვის ვადაში შეიმუშაოს და მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს ღონისძიებანი, რათა გაუმჯობესდეს და გამარტივდეს სარემონტო-ტექნიკური სადგურების მომარაგება მანქანებითა და საწარმოო დანიშნულების საქონლით კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის მისაყიდად.

13. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ფინანსთა სამინისტროს, სახელმწიფო ბანკის საქართველოს კანტორას ორი თვის ვადაში შეიმუშაონ და მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინონ წესი და პირობები სარემონტო-ტექნიკური სადგურების მიერ მანქანების მიღებისა შესაკეთებლად და მათი გაცემისა რემონტიდან, წესი კოლმეურნეობათა ანგარიშსწორებისა სარემონტო-ტექნიკურ სადგურებთან მანქანების რემონტისათვის, წესი სარემონტო-ტექნიკური სადგურების ტექნიკის გამოყენებისა, პირობები იმ სპეციალიზებული სამუშაოებისათვის ანგარიშსწორებისა, რომლებსაც სარემონტო-ტექნიკური სადგურები ასრულებენ, აგრეთვე პირობები მანქანების მიქირავებისა კოლმეურნეობებისათვის და სხვა მეურნეობებისათვის.

14. შეტანილ იქნას ცვლილებანი მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების სტრუქტურაში და შეიქმნას მათ შემადგენლობაში სოფლის მეურნეობის რაიონული ინსპექციები.

15. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, ორი კვირის ვადაში წარმოუდგინოს მინისტრთა საბჭოს სარემონტო-ტექნიკური სადგურების შტატები, აგრეთვე რაიაღმასკომების სოფლის მეურნეობის რაიონული ინსპექციების შტატები და ინსპექტორთა თანამდებობრივი განაკვეთები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს დასამტკიცებლად სარემონტო-ტექნიკური სადგურების დირექტორებისა და სოფლის მეურნეობის რაიონული ინსპექციების უფროსთა კანდიდატურები, აგრეთვე დააკომპლექტოს სარემონტო-ტექნიკური სადგურები და სამანქანო-სამელიორაციო სადგურები ინჟინერ-ტექნიკური პერსონალით და მუდმივ მუშათა კადრებით.

17. დაევალოთ საქართველოს კპ რაიკომებს და რაიაღმასკომებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ რეორგანიზებული მტს-ების ყველა სპეციალისტის სწორად გამოყენებას, რისთვისაც გაგზავნონ ისინი სამუშაოდ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სარემონტო-ტექნიკურ სადგურებში, აგრეთვე სოფლის მეურნეობის რაიონულ ინსპექციებში და შეუქმნან მათ მუშაობისათვის საჭირო პირობები.

18. წინადადება მიეცეთ საქართველოს კპ რაიკომებს და რაიაღმასკომებს მოაწყონ რაიაღმასკომებთან საწარმოო-ტექნიკური საბჭოები, რომლებიც განიხილავენ და მოამზადებენ წინადადებებს სოფლის მეურნეობის პერსპექტიული განვითარებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მეცნიერების მიღწევების და მოწინავე გამოცდილების დანერგვის საკითხებზე. საბჭოს შემადგენლობაში შეყვანილ იქნან სოფლის მეურნეობის რაიონული ინსპექციის უფროსი, რაიონის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და სპეციალისტები, საბჭოთა მეურნეობების, სარემონტო-ტექნიკური სადგურების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დირექტორები და სპეციალისტები, სოფლის მეურნეობის რაიონული ინსპექციების მთავარი სპეციალისტები, რაიონული საგეგმო კომისიის, სასოფლო-სამეურნეო ბანკის და სახელმწიფო ბანკის წარმომადგენლები, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა და სასწავლებელთა მეცნიერი მუშაკები და სპეციალისტები, სოფლის მეურნეობის მოწინავეები და სხვა მუშაკები.

საწარმოო-ტექნიკური საბჭოს წევრთა და თავმჯდომარის პერსონალური შემადგენლობა დამტკიცებულ იქნას რაიაღმასკომების სხდომებზე.

19. მტს-ების რეორგანიზაციის განხორციელებისას მტკიცე სახელმძღვანელოდ იქნას მიღებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 18 აპრილის № 425 დადგენილება „საკოლმეურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ".

*

* *

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მოითხოვენ რაიკომებისაგან, რაიაღმასკომებისაგან, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსაგან უზრუნველყონ მიმდინარე წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ორგანიზებულად ჩატარება, ფართოდ ისარგებლონ მიწათმოქმედების მოწინავე მეთოდებით, მაქსიმალური ეფექტიანობით გამოიყენონ კოლმეურნეობებისათვის მიყიდული ტექნიკა და ამით უზრუნველყონ სოფლის მეურნეობის მშრომელების მიერ 1958 წლისათვის ნაკისრი ყველა ვალდებულების უცილობლივ შესრულება.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი**

ქ. თბილისი, 1958 წ. 22 აპრილის № 275.

---

6 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიური სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიური სამმართველოს შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა
მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი**

ქ. თბილისი, 1958 წ. 6 იანვრის № 20.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია საქართველოს
სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის
6 იანვრის № 20 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიური სამმართველოს შესახებ.

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიური სამმართველო, რომელიც სსრ კავშირის გეოლოგიის და წიაღისეულთა დაცვის სამინისტროს სისტემაში შედის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ექვემდებარება, სათავეში უდგას გეოლოგიურ სამსახურს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე და ამ დებულების თანახმად ხელმძღვანელობას უწევს მის ადმინისტრაციულ ქვემდებარებაში მყოფ ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და საწარმოებს.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიური სამმართველო სარგებლობს მოკავშირე რესპუბლიკის უწყებებისათვის დაწესებული უფლებებით, აგრეთვე იმ უფლებებით, რომლებიც წინათ მინიჭებული ჰქონდა სსრ კავშირის გეოლოგიისა და წიაღისეულთა დაცვის სამინისტროს ყოფ. გეოლოგიურ სამმართველოს, რომლის ბაზაზედაც იგი მოწყობილია.

3. გეოლოგიური სამმართველო წარმოადგენს დამოუკიდებელ საწარმოო ორგანიზაციას, რომელიც სამეურნეო ანგარიშის საფუძვლებზე მოქმედებს და აქვს იურიდიული პირის უფლებები.

4. თავის ვალდებულებათა მიხედვით გეოლოგიური სამმართველო პასუხისმგებელია მხოლოდ იმ ქონებით, რომელზედაც მოქმედი კანონებით შეიძლება მიმართულ იქნას გადახდევინება.

5. გეოლოგიურ სამმართველოს აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოხატულია საქართველოს სსრ სახელმწიფო ღერბი და თავისი სახელწოდება.

6. გეოლოგიური სამმართველო იმყოფება საქართველოს სსრ ქალაქ თბილისში.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გეოლოგიურ სამმართველოს სათავეში უდგას სამმართველოს უფროსი, რომელსაც დანიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის გეოლოგიისა და წიაღისეულთა დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით. სამმართველოს უფროსი, ამ დებულების შესაბამისად, ხელმძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვანელობას გაუწევს სამმართველოს, მისდამი დაქვემდებარებული საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების მთელ საქმიანობას.

სამმართველოს უფროსი:

ა) უზრუნველყოფს კანონების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, აგრეთვე სსრ კავშირის გეოლოგიის და წიაღისეულთა დაცვის სამინისტროს ბრძანებებისა და ინსტრუქციების შესრულებას;

ბ) გამოსცემს სამმართველოს კომპეტენციის ფარგლებში, მოქმედი კანონების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, სსრ კავშირის გეოლოგიის და წიაღისეულთა დაცვის სამინისტროს ბრძანებებისა და ინსტრუქციების საფუძველზე და მათ შესასრულებლად, ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, რომლებიც სავალდებულოა მისადმი დაქვემდებარებული ყველა საწარმოსა, დაწესებულებისა და ორგანიზაციებისათვის, და შეამოწმებს მათ შესრულებას;

გ) დანიშნავს და თანამდებობიდან გაათავისუფლებს სამმართველოს აპარატის მუშაკებს, აგრეთვე დანიშნავს და თანამდებობიდან გაათავისუფლებს დადგენილი წესით მისდამი დაქვემდებარებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, ინჟინერ-ტექნიკურ და მათთან გათანაბრებულ მუშაკებს;

დ) მოაწყობს და გააუქმებს დადგენილი წესით სამმართველოსადმი ადმინისტრაციულად დაქვემდებარებულ გეოლოგიურ-საძიებო და სხვა ორგანიზაციებს;

ე) დაამტკიცებს მისდამი დაქვემდებარებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების წესდებებს და დებულებებს;

ვ) დაამტკიცებს გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა წარმოების პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებს, აგრეთვე სატიტულო სიებს;

ზ) დააწესებს დაქვემდებარებული ორგანიზაციებისათვის იმ მუშაკთა რაოდენობას და ხელფასის ფონდს, რომლებიც დასაქმებული არიან გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოებზე, რაც ხორციელდება ხელშეკრულებებით კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული ორგანიზაციების სახსრების ხარჯზე, გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოებზე გამომუშავებისა და საშუალო ხელფასის მაჩვენებლების შესაბამისად შრომის იმ ლიმიტების გადამეტებით, რომლებიც დაწესებულია სამმართველოსათვის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ) იძლევა იმის ნებართვებს, რომ დაიფაროს ხელფასის ფონდის გადახარჯვა ხელფასის იმ წლიური ფონდის ფარგლებში, რომელიც დამტკიცებულია მთლიანად სამმართველოსათვის;

ი) გახსნის და დახურავს ბანკებში დაქვემდებარებული ორგანიზაციების ანგარიშებს;

კ) შეასრულებს გეოლოგიურ სამმართველოს საქმიანობასთან დაკავშირებულ ოპერაციებს სახელმწიფო ბანკში, სამრეწველო ბანკსა და სხვა ბანკებში, გახსნის და დახურავს საანგარიშსწორებო, მიმღინარე და სხვა ანგარიშებს და განაგებს მათ, სარგებლობს კრედიტით, ხელს მოაწერს ჩეკებს, საგადამხდელო დოკუმენტებს და მოახდენს ანგარიშ-ფაქტურების აქცეპტს, მიიღებს ფულსა და ფასეულობას, შეიძენს გეოლოგიური სამმართველოს საჭიროებისათვის მატერიალურ-ქონებრივ ფასეულობას, გაანაწილებს გეოლოგიური სამმართველოს საბრუნავ სახსრებს და განახორციელებს კონტროლს მათი ათვისებისა და სწორად გამოყენებისადმი;

ლ) უფლება აქვს დაიტოვოს თავის განკარგულებაში დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს შორის შრომის გეგმის განაწილების დროს რეზერვი მუშაკთა რაოდენობისა და ხელფასის ფონდისა 2 პროცენტამდე;

მ) მოაწყობს დადგენილი წესით გეოლოგიურ სამმართველოს კაპიტალურ მშენებლობას.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გეოლოგიური სამმართველოს უფროსს უფლება ენიჭება:

ა) აძლიოს ყველა საწარმოსა, დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის სავალდებულო მითითებანი გეოლოგიურ, გეოფიზიკურ და სხვადასხვა სპეციალურ გეოლოგიურ სამუშაოთა წარმოების წესების დარღვევის აღმოფხვრისა და ამ სამუშაოთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ზომების მიღების შესახებ;

ბ) შეაჩეროს მოქმედება სახალხო მეურნეობის საბჭოს მიერ გეოლოგიურ სამუშაოთა წარმოების საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებებისა, რომლებიც ეწინააღმდეგებიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებსა და განკარგულებებს, და სთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ამ გადაწყვეტილებათა გაუქმება;

გ) შეაჩეროს, საბანკო ორგანიზაციების მეშვეობით, რეგისტრაციაში გაუტარებელ გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა დაფინანსება, აგრეთვე იმ გეოლოგიური გადაღების, გეოფიზიკური, ჰიდროგეოლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიური, საინჟინერო-გეოლოგიური, საძიებო და გეოლოგიურ-კვლევითი სამუშაოების დაფინანსება, რომლებიც არ შეესაბამებიან დამტკიცებულ გეგმურ დავალებებს ან რომელთა შესრულების დროს ირღვევა მოქმედი წესები და ინსტრუქციები;

დ) განაგოს საწარმოს ფონდი მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და წარმოების სრულყოფისათვის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 9 აგვისტოს № 1430 დებულების შესაბამისად;

ე) გასცეს მინდობილობანი შემდეგი გადანდობის უფლებით თავისი სრული პასუხისმგებლობით.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიური სამმართველო:

ა) განახორციელებს გეოლოგიურ-გადაღების, გეოფიზიკურ, ჰიდროგეოლოგიურ, საინჟინრო-გეოლოგიურ, საძიებო, კვლევით და სხვა სამუშაოთა გზით:

საქართველოს სსრ წიაღისეულთა გეგმაშეზომილად და კომპლექსურად შესწავლას იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მშენებარი და განზრახული საწარმოები მინერალური ნედლეულის გამოკვლეული მარაგით და იმ მიზნით, რომ შეიქმნას მთამადნეულის გამოკვლეული მარაგის რეზერვი სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის;

მთელ რეგიონალურ ჰიდროგეოლოგიურ სამუშაოებს, მიწისქვეშა წყლების გამოკვლევის სამუშაოებს, დიდი სამელიორაციო და საინჟინერო ნაგებობათა პერსპექტიული დაპროექტებისათვის საჭირო საინჟინერო-გეოლოგიურ გამოკვლევებს, აგრეთვე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მინერალური და თერმული წყლების შესწავლას, გარდა იმ დეტალური საინჟინერო-გეოლოგიური სამუშაოებისა და საექსპლუატაციო ჭაბურღილების ბურღვისა წყალში, რომლებსაც ასრულებენ შესაბამისად საპროექტო და სხვა ორგანიზაციები;

ბ) განსაზღვრავს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 5 ივლისის № 766 დადგენილებით და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 28 აგვისტოს № 549 დადგენილებით დაწესებულ ფარგლებში, გეოლოგიური გადაღების, გეოფიზიკური, ჰიდროგეოლოგიური, საინჟინერო-გეოლოგიური, საძიებო, საკვლევი და იმ სხვა სამუშაოების მიმართულებას, რომლებიც საჭიროა არსებული მინერალურ-ნედლეულის ბაზების გასაფართოებლად და ახალი ასეთი ბაზების გამოსავლინებლად, საქართველოს სსრ და სსრ კავშირის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმების შესაბამისად;

გ) საქართველოს სსრ მრეწველობის ცალკეული დარგების მინერალური ნედლეულის მარაგით უზრუნველყოფის ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს გეოლოგიური გადაღების, გეოფიზიკური, ჰიდროგეოლოგიური, საინჟინერო-გეოლოგიური, საძიებო კვლევითი და სხვა სამუშაოების პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს.

დადგენილი წესით გადაწყვეტს დაგეგმვის, დაქვემდებარებულ ორგანიზაციათა დაფინანსების საკითხებს, შრომის, ხელფასის, კადრების შერჩევისა და განაწილების, კვალიფიკაციის ამაღლების, ნორმირების, აღრიცხვისა და ანგარიშგების საკითხებს, რომლებიც მის კომპეტენციაში შედის;

დ) ანალიზს გაუკეთებს და განაზოგადებს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მის მიერ შესრულებული სამუშაოების შედეგებს, აღრიცხავს წიაღისეულში მთამადნეულის მარაგს, იმის მონაცემებს, თუ რამდენად არიან უზრუნველყოფილი სამრეწველო საწარმოები მინერალური ნედლეულის გამოკვლეული მარაგით, შეადგენს მასალებს, რომლებიც ახასიათებენ საქართველოს სსრ გეოლოგიურ, გეოფიზიკურ და ჰიდროლოგიურ შესწავლას, აწარმოებს ყველა ამ გეოლოგიური სამუშაოს აღრიცხვასა და რეგისტრაციას, რომლებიც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სრულდება;

ე) განიხილავს საქართველოს სს რესპუბლიკაში მინერალური ნედლეულის გეოლოგიურ შესწავლასთან, პერსპექტიულ შეფასებასთან და მისი მარაგის გადიდებასთან დაკავშირებულ საპრობლემო საკითხებს.

ამ ამოცანას განახორციელებს სამმართველოს სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო, რომელიც შედგება სამმართველოს, სსრ კავშირის გეოლოგიის და წიაღისეულთა დაცვის სამინისტროს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისაგან და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს წარმომადგენლებისაგან;

ვ) განიხილავს რესპუბლიკის გეოლოგიურ-საძიებო ორგანიზაციების გეოლოგიურ ანგარიშებს იმ მიზნით, რომ მოხდეს მათი აპრობაცია და რეკომენდებულ იქნან ისინი სსრ კავშირის მინისტრთა საბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭოსთან არსებულ მარაგთა სახელმწიფო კომისიაში დასამტკიცებლად წარდგენისათვის;

ზ) შეასრულებს, მარაგთა ტერიტორიული კომისიის მეშვეობით, საქართველოს სს რესპუბლიკაში გამოვლინებულ საშენ მასალათა მარაგის დამტკიცებისა და განსაზღვრის ფუნქციებს, მარაგთა ტერიტორიული კომისიების მოქმედი დებულების შესაბამისად;

თ) შეამოწმებს სასარგებლო წიაღისეულთა საბადოების პირველადმომჩენთა განაცხადებს, ამასთან დაადგენს განმცხადებელთა პრიორიტეტს და მიაკუთვნებს მათ მთამადნეულის საბადოების პირველადმომჩენთა უფლებებს;

ი) განახორციელებს წიაღისეულთა დაცვას მატერიალურ-ნედლეული რესურსების, მათ შორის წყალთა რესურსების, რაციონალურად გამოყენებისადმი კონტროლის გზით, აგრეთვე მეთოდურ ხელმძღვანელობასა და კონტროლს გაუწევს სამთო-მომპოვებელი საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა წარმოების სისწორეს;

კ) მეთოდურ ხელმძღვანელობასა და კონტროლს გაუწევს მაღაროების გეოლოგიური სამსახურის საქმიანობას, დახმარებას აღმოუჩენს მაღაროს გეოლოგიურ სამსახურს გეოლოგიურ სამუშაოთა მიმართულების ამორჩევაში და საწარმოთა ნედლეულის ბაზასთან და მთამადნეულის მოპოვების გადიდებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე;

ლ) უზრუნველყოფს გეოლოგიური გადაღების, ჰიდროგეოლოგიური, საინჟინერო-გეოლოგიური, გეოფიზიკური, საძიებო და კვლევითი სამუშაოების მაღალ სამეცნიერო-ტექნიკურ დონეს ახალი პროგრესული მეთოდების, გეოფიზიკური და გეოლოგიურ-საძიებო მოწყობილობის, მაღალნაყოფიერი და ეკონომიური ტიპის ხელსაწყოების, აპარატურის დანერგვის გზით, სათანადო კონტროლს გაუწევს მექანიზაციის, ახალი ტექნოლოგიისა და სხვადასხვა გეოფიზიკურ და გეოლოგიურ სამუშაოთა წარმოების ავტომატიზაციის დანერგვას;

მ) მოამზადებს გამოსაცემად საქართველოს სსრ ტერიტორიის გეოლოგიურ რუკებს;

ნ) დადგენილი წესით გადაწყვეტს დაქვემდებარებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სამუშაოთა დაგეგმვის და დაფინანსების საკითხებს, რომლებიც მის კომპეტენციაში შედის; კონტროლს გაუწევს შრომითი კანონმდებლობის დაცვას; გადაწყვეტს შრომის ორგანიზაციის, აგრეთვე ნორმირების და ხელფა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სის, კადრების შერჩევის, განაწილებისა და კვალიფიკაციის ამაღლების, აღრიცხვისა და ანგარიშგების საკითხებს; განახორციელებს ღონისძიებებს შრომის პირობების გაჯანსაღებისათვის, აგრეთვე უსაშიშროების ტექნიკის გაუმჯობესებისათვის;

ო) განახორციელებს სამმართველოსადმი დაქვემდებარებული საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას;

პ) დაგეგმავს და მოაწყობს მუშათა მომარაგების განყოფილების მეშვეობით სასურსათო და სამრეწველო საქონლის ვაჭრობას სამმართველოსადმი დაქვემდებარებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაკთა უზრუნველსაყოფად;

ჟ) მოაწყობს საბუღალტრო და სტატისტიკურ აღრიცხვას, განახორციელებს მის მეთოდურ ხელმძღვანელობას, განიხილავს და დაამტკიცებს დაქვემდებარებულ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საბუღალტრო ანგარიშებსა და ბალანსებს; შეადგენს ნაკრებ საბუღალტრო და სტატისტიკურ ანგარიშებს სამმართველოს საწარმოო და სამეურნეო საქმიანობის შესახებ; განახორციელებს საფინანსო კონტროლს და ჩაატარებს დაქვემდებარებულ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა სამეურნეო, აგრეთვე საფინანსო საქმიანობის რევიზიას.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიური სამმართველო, წარმოების ნოვატორთა მოწინავე გამოცდილების რაც შეიძლება უკეთ გამოყენების მიზნით, მოიწვევს დადგენილი წესით აქტივის თათბირებს, რომლებზედაც მოსმენილი და განხილული იქნება მოხსენებანი პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა შესრულების შესახებ, აგრეთვე ფართო კრიტიკისა და თვითკრიტიკის საფუძველზე, განხილული იქნება საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის საკითხები.

11. თავის საწარმოო-გეოლოგიურ საქმიანობაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიური სამმართველო ხელმძღვანელობს საბჭოთა კავშირის გეოლოგიური სამსახურისათვის დადგენილი საერთო წესებითა და ინსტრუქციებით, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის გეოლოგიისა და წიაღისეულთა დაცვის სამინისტროს მიერ.

12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიური სამმართველოს სტრუქტურას და შტატებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7 **იმის შესახებ, რომ ნება დაერთოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გზატკეცილების მთავარ სამმართველოს დააწესოს სამკერდე ნიშანი „საპატიო მეგზაური"**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 29 აგვისტოს № 1041 დადგენილების შესაბამისად, ნება დაერთოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გზატკეცილების მთავარ სამმართველოს, კავშირგაბმულობის მუშაკთა, ტრანსპორტისა და გზატკეცილების მუშათა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად:

ა) დააწესოს სამკერდე ნიშანი „საპატიო მეგზაური" იმ მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების დასაჯილდოებლად, რომლებმაც თავი ისახელეს სოციალისტურ შეჯიბრებაში;

ბ) დამტკიცდეს სამკერდე ნიშნის — „საპატიო მეგზაურის" ნიმუში და მისი დებულება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა
მმართველის მოადგილე **დ. ჟიტიაშვილი**

ქ. თბილისი, 1958 წ. 10 იანვრის № 34.

---

8 **საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სასოფლო-სამეურნეო ბიოლოგიური და მედიცინის მეცნიერებათა განყოფილების რეორგანიზაციის შესახებ**

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის შექმნასთან და მისთვის სასოფლო-სამეურნეო პროფილის ინსტიტუტების გადაცემასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნას საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წინადადება იმის შესახებ, რომ გადაკეთდეს საქართველოს სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერებათა აკადემიის სოფლის მეურნეობის, ბიოლოგიურ და მედიცინის მეცნიერებათა განყოფილება შემდეგ განყოფილებებად:

ა) საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება პალეობიოლოგიის, ფიზიოლოგიის, ზოოლოგიის, ბოტანიკის, ტყის ინსტიტუტებით და თბილისის (ცენტრალური), სოხუმისა და ბათუმის ბოტანიკური ბაღებით;

ბ) საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მედიცინის მეცნიერებათა განყოფილება ექსპერიმენტული მორფოლოგიის, ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიისა და გემატოლოგიის, კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის ექსპერიმენტული და კლინიკური ნერვოლოგიის ინსტიტუტებით.

2. პირველ მუხლში აღნიშნული რეორგანიზაცია ჩატარდეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური აპარატის მუშაკთა რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ვ. პაატაშვილი**

ქ. თბილისი 1958 წ. 24 იანვრის № 57.

---

9 საქართველოს სს რესპუბლიკაში სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო საქმიანობის კოორდინაციის საინფორმაციო ბიულეტენის გამოცემის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ნება დაერთოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას გამოაცეს 1958 წლის იანვრიდან „საქართველოს სს რესპუბლიკაში სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო საქმიანობის კოორდინაციის საბჭოს საინფორმაციო ბიულეტენი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დაწესდეს, რომ ბიულეტენი გამოიცემა ქართულ და რუსულ ენებზე წელიწადში 2 ნომრის რაოდენობით, თვითეული 10 ნაბეჭდი ფურცლის მოცულობით და თითო ნომრის 1.000 ცალი ტირაჟით.

3. ბიულეტენის გამოცემა დაეკისროს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობას.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს უზრუნველყოს საქართველოს სსრ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო საქმიანობის კოორდინაციის საბჭოს საინფორმაციო ბიულეტენის გამოცემა მუშაკთა 1958 წლისათვის გათვალისწინებული საშტატო რაოდენობის, ხელფასის ფონდის და სახელმწიფო ბიუჯეტიდან დოტაციის ფარგლებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ვ. პაატაშვილი**

ქ. თბილისი, 1958 წ. 4 თებერვლის № 64.

---

10 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისიის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ვ. პაატაშვილი**

ქ. თბილისი, 1958 წ. 4 თებერვლის № 73.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 4
თებერვლის № 73 დადგენილებით

დებულება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისიის შესახებ.

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისია შექმნილია თანახმად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 11 სექტემბრის ბრძანებულებისა „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისიის შექმნის შესახებ".

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისიას ეკისრება შეამოწმოს საქართველოს სსრ მთავრობის სახელით მთავრობის მიერ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა ფაქტიური შესრულება, შეისწავლოს სახელმწიფო აპარატის სტრუქტურა და მუშაობის საკითხები. კონტროლი გაუწიოს მომჭირნეობის უსასტიკესი რეჟიმის გატარებას, ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა სწორად და მიზანშეწონილად ხარჯვას.

საბჭოთა კონტროლის კომისიამ თავის საქმიანობაში ხელი უნდა შეუწყოს ისეთი უწყებრივი და კუთხური ტენდენციების შესაძლო გამოვლინებათა დაძლევას, რომლებიც ეწინააღმდეგებიან საერთოსახელმწიფოებრივ ინტერესებს და აწარმოოს აქტიური ბრძოლა ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების წინააღმდეგ.

3. საბჭოთა კონტროლის კომისია თავის საქმიანობას კონტროლის ხაზით ახორციელებს საბჭოთა, პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირით, მუშათა, კოლმეურნეთა და მოსამსახურეთა ფართო მასების მონაწილეობით.

4. საბჭოთა კონტროლის კომისიის საქმიანობის მთავარი შედეგი უნდა იყოს საბჭოთა, სამეურნეო და კოოპერაციული ორგანიზაციების მუშაობაში აღმოჩენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა ადგილზე და ზომების მიღება ამ ნაკლოვანებათა თავიდან აცილებისათვის შემდეგში. ამ მიზნით შემოწმების შედეგები შეტანილი იქნება პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და კოოპერაციული ორგანიზაციების განსახილველად, ხოლო საჭირო შემთხვევებში მათი განხილვა იწარმოებს სამეურნეო აქტივებზე, მუშა-მოსამსახურეთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრებებზე და გაშუქდება პრესაში. საქართველოს სსრ მთავრობის განსახილველად შეტანილი იქნება მხოლოდ ისეთი საკითხები, რომლებიც მის გადაწყვეტას მოითხოვენ.

შემოწმებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები მოვალენი არიან დაუყოვნებლივ აღმოფხვრან აღმოჩენილი დარღვევები და ნაკლოვანებანი და შედეგები აცნობონ საბჭოთა კონტროლის კომისიას.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისიას უფლება ენიჭება:

ა) აძლიოს საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა თანამდებობის პირებს მათთვის სავალდებულო მითითებანი აღმოჩენილ ნაკლოვანებათა და დარღვევათა აღმოფხვრის შესახებ, ამასთან იმავდროულად აცნობოს ეს სათანადო სამინისტროებს (უწყებებს) და სახალხო მეურნეობის საბჭოს ხელმძღვანელებს;

ბ) მიიღოს საბჭოთა და სამეურნეო აპარატის იმ ხელმძღვანელებისა და სხვა თანამდებობის პირების მიმართ, რომლებიც ფუშავენ მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებას და არღვევენ სახელმწიფო დისციპლინას, უშვებენ საქმის გაჭიანურებასა და ბიროკრატიზმს, შემდეგი ზომები: უშუალოდ დაადოს დამნაშავეებს დისციპლინური სასჯელი (შენიშვნა, საყვედური, სასტიკი საყვედური), გადააყენოს თანამდებობიდან.

იმ პირებს, რომლებსაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ნიშნავს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისია თანამდებობიდან გადააყენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თანხმობით.

ბოროტმოქმედების და სხვა დანაშაულებრივი მოქმედების აღმოჩენის შემთხვევაში საბჭოთა კონტროლის კომისია გაუგზავნის მასალებს პროკურატურის ორგანოებს კვლევა-ძიებისათვის.

გ) აწარმოოს მთავრობის მიერ დამტკიცებული წესების შესაბამისად ფულადი დანარიცხები თანამდებობის პირებზე, რომლებმაც ზარალი მიაყენეს სახელმწიფოს, კოოპერაციულ ან სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციას;

დ) მოიწვიოს შემოწმებაში მონაწილეობისათვის ექსპერტებად საწარმოების, სამეცნიერო-საკვლევი, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციებისა და სხვა დაწესებულებების სპეციალისტები და მცოდნე პირები, ხოლო საჭიროების შემთხვევებში შექმნას საექსპერტო კომისიები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) მოთხოვოს საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს დოკუმენტები და ახსნა-განმარტებანი საბჭოთა კონტროლის კომისიის კომპენტენციაში შემავალ საკითხებზე.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისია შეიქმნება შემდეგი შემადგენლობით: კომისიის თავმჯდომარე, რომელსაც დანიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, კომისიის თავმჯდომარის მოადგილეები და კომისიის წევრები, რომლებსაც დანიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. კომისიის წევრთა შემადგენლობაში შედის პროფესიულ კავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის თითო წარმომადგენელი.

საბჭოთა კონტროლის კომისია თავის სხდომებზე, რომლებიც რეგულარულად იმართება, განიხილავს კონტროლის განხორციელების ორგანიზაციის საკითხებს, შემოწმების შედეგებს, მოისმენს განყოფილებათა ხელმძღვანელების ანგარიშებს.

განხილულ საკითხებზე კომისია მიიღებს სათანადო დადგენილებებს.

7. საბჭოთა კონტროლის კომისიის სტრუქტურას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

---

11 საქართველოს სსრ სასოფლო რაიონებში ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებისა და დაწესებულებების სტრუქტურის შეცვლის შესახებ.

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების სტრუქტურის შემდგომი გამარტივებისა და სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. გაერთიანებულ იქნას 1958 წლის 15 თებერვლიდან რესპუბლიკის ყველა სასოფლო რაიონულ ცენტრში, გარდა ქუთაისის, გორის და ჭიათურის რაიონებისა, აღმასკომების ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება, რაიონული საავადმყოფო და სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგური ერთიან დაწესებულებად — რაიონულ საავადმყოფოდ.

დაწესდეს, რომ რაიონული საავადმყოფოს მთავარი ექიმი ამავე დროს არის რაიონის მთავარი ექიმი და ემორჩილება რაიაღმასკომს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შესაბამისად — ჯანმრთელობის დაცვის საოლქო განყოფილებას, ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს.

დაეკისროს რაიონის მთავარ ექიმს რაიონში ჯანმრთელობის დაცვის საქმის ხელმძღვანელობა.

მიენიჭოთ რაიონების მთავარ ექიმებს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების განყოფილებათა გამგეების უფლებები, ხოლო მათ მოადგილეებს სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ საკითხებზე — რაიონების ყოფ. მთავარი სანიტარული ექიმების უფლებები.

2. დაევალოს აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს ჩაატარონ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებისა და დაწესებულებების სტრუქტურის ანალოგიური ცვლილება ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში.

3. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დაამტკიცოს სასოფლო რაიონების ჯანმრთელობის დაცვის ამ დადგენილებით გაერთიანებული ორგანოებისა და დაწესებულებების ადმინისტრაციულ-სამმართველო, სამედიცინო და დამხმარე-სამეურნეო პერსონალის შტატები სამინისტროებისათვის დამტკიცებული პერსონალის რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში, ამასთან შეინარჩუნოს მთლიანად ამჟამად გაერთიანებულ დაწესებულებებში დაკავებული საექიმო თანამდებობანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუჭავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ვ. პაატაშვილი**

ქ. თბილისი, 1958 წ. 11 თებერვლის № 96.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12 საქართველოს სსრ წყალსატევებში თევზის მარაგის დაცვის გაძლიერებისა და ბრაკონიერობის ლიკვიდაციის ზომების შესახებ.

(ამონაკრეფი)

მშრომელთა დეპუტატების რაიონული აღმასკომები და სასოფლო საბჭოები ურიგდებიან ბრაკონიერობას და არ უწევენ მას სერიოზულ წინააღმდეგობას.

რესპუბლიკის წყალსატევებში ბრაკონიერობის ლიკვიდაციის მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს:

ა) ყოველნაირად გააძლიეროს ბრძოლა თევზჭერის წესების დამრღვევთა წინააღმდეგ და უზრუნველყოს ურჩ ბრაკონიერთა საქმეების დროზე გადაცემა საგამომძიებლო-სასამართლო ორგანოებისათვის;

ბ) უზრუნველყოს წყალსატევების სისტემატური ჯგუფური შემოვლა ფეხითა და ტრანსპორტით თევზდაცვის, სატყეო დაცვის ორგანოების მუშაკებისა და სამონადირეო ინსპექტორების მიერ ისე, რომ ამ შემოვლაში მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივმა ინსპექტორებმა მოსახლეობის ფართო აქტივიდან.

2. დაევალოს სატყეო დაცვის მუშაკებს, სახელმწიფო სამონადირეო ინსპექტორებს, ნადირობის ინსპექტორებს და მონკავშირის სისტემის მუშაკებს თვალყური ადევნონ თევზჭერის წესების დაცვას, ხოლო თევზჭერის ზედამხედველობის მუშაკებმა თვალყური ადევნონ ნადირობისა და ტყესარგებლობის წესების და ვადების დაცვას.

3. დაევალოს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის სამმართველოს:

ა) მუდმივი და გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოოს თევზჭერის წესების დამრღვევთა წინააღმდეგ და უზრუნველყოს გამოძიების დამთავრება თევზჭერის წესების დარღვევის შესახებ აღძრული საქმეების გამო ერთი დეკადის ვადაში;

ბ) პასუხისგებაში მისცეს ის პირები, რომლებიც ეწევიან თევზის უკანონო გაყიდვას, ამასთან ჩამოართვას თევზი და გადასცეს იგი თევზის მრეწველობის საწარმოებს ან სავაჭრო ორგანიზაციებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) ერთი თვის ვადაში შეამოწმოს ორგანიზაციებსა და საწარმოებში, თუ როგორ სრულდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 6 თებერვლის № 44 დადგენილება „ფეთქებადი მასალების შენახვის, გამოყენებისა და აღრიცხვის მდგომარეობის შესახებ“ და შედეგები მოახსენოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო ფეთქებად ნივთიერებათა განიავებაში დამნაშავე პირები მისცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

სისტემატურად შეამოწმოს ფეთქებადი და მომწამვლელი მასალების შენახვის და აღრიცხვის მდგომარეობა.

4. დაევალოს რესპუბლიკის პროკურატურას და საქ. სსრ იუსტიციის სამინისტროს სასტიკ პასუხისგებაში მისცენ ბრაკონიერობაში მხილებული პირები და ბოლო მოუღონ თევზჭერის წესების დამრღვევთა საქმეების დაუსაბუთებლად შეწყვეტის პრაქტიკას.

5. ეთხოვოს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალს მისცეს მითითება ჯარის ნაწილებს, რათა მიღებულ იქნას ზომები იმისათვის, რომ შეწყდეს საქართველოს სსრ წყალსატევებში ბრაკონიერობა სამხედრო მოსამსახურეთა მხრივ.

6. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ქვანახშირის, ნავთობის და სამთამადნო მრეწველობის სამმართველოს უზრუნველყონ მომწამვლელ და ფეთქებად ნივთიერებათა სათანადო შენახვა და აღრიცხვა კოლმეურნეობებში, ორგანიზაციებსა და საწარმოებში, რისთვისაც ერთი თვის ვადაში ჩაატარონ სათანადო შემოწმება და აღმოფხვრან ნაკლოვანებანი.

7. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ხორცის, რძის და თევზის მრეწველობის სამმართველომ დააკისროს თევზმომპოვებელ საწარმოებს და თევზჭერის კოლმეურნეობებს მოვალეობა აწარმოონ ბრძოლა თევზჭერის წესების დამრღვევთა წინააღმდეგ და ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ თევზდაცვის ორგანოებს.

8. დაევალოს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

ერთი თვის ვადაში განიხილონ ბრაკონიერობის საკითხი, დასახონ და განახორციელონ მის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ზომები და ჩაბან ამ საქმეში მოსახლეობის ფართო ფენები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

გააძლიერონ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოების პასუხისმგებლობა თევზჭერის წესების დარღვევისათვის: სასოფლო საბჭოების სხდომებზე პერიოდულად განიხილონ ეს საკითხები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ვ. პაატაშვილი**

ქ. თბილისი, 1958 წ. 15 მარტის №160.

---

13 **საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოსთან ჯართის და შავი და ფერადი ლითონების ნარჩენების დამზადების, გადამუშავებისა და გასაღების სამმართველოს — „ვტორმეტის“ მოწყობის შესახებ.**

(ამონაკრეფი)

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 18 იანვრის № 75 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შეიქმნას საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოსთან ჯართისა და შავი და ფერადი ლითონების ნარჩენების დამზადების, გადამუშავების და გასაღების სამმართველო — „ვტორმეტი“.

2. გადაეცეს „ვტორმეტის“ სამმართველოს გამგებლობაში შავი ლითონების ჯართის დამზადების საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს („გლავვტორჩერმეტის“) და ჯართისა და ფერადი ლითონების დამზადების თბილისის სარესპუბლიკათაშორისო სამმართველოს („გლავვტორცვეტმეტის“) ორგანიზაციები, საწარმოები და მეურნეობანი.

გადაცემა მოხდეს 1958 წლის 1 იანვრის ბალანსით მთელი აქტივებითა და პასივებით, მიწოდებათა ვალდებულებებით, ჯართისა და შავი ლითონების ნარჩენების გადამუშავების 1958 წლის გეგმებით, წარმოების გეგმებით, მუშაკთა რაოდენობით, ხელფასის ფონდებით

№ 1 ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

(პერსონალური განაკვეთების ფონდების ჩათვლით) და 1958 წლის საფინანსო გეგმებით.

3. დაეკისროს ჯართისა და შავი და ფერადი ლითონების ნარჩენების დამზადების, გადამუშავების და გასაღების სამმართველოს „ვტორმეტს“:

ა) ჯართისა და შავი და ფერადი ლითონების ნარჩენების დამზადების, გადამუშავებისა და გასაღების ხელმძღვანელობა და ლითონის ჯართის დამზადების (ჩაბარების) და გაგზავნის სახელმწიფო გეგმების შესრულების უზრუნველყოფა;

ბ) ჯართისა და შავი და ფერადი ლითონების სარესპუბლიკათაშორისო მიწოდების უცილობლივ და პირველ რიგში უზრუნველყოფა. ამასთან იქონიოს მხედველობაში, რომ ჯართისა და შავი და ფერადი ლითონების ნარჩენების დამზადების (ჩაბარების) გეგმა შესრულებულად ითვლება მხოლოდ მაშინ, თუ შესრულებულია სხვა მოკავშირე რესპუბლიკებისათვის ლითონის ჯართის მიწოდების დაწესებული დავალებანი, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ფერადი ლითონების დამზადებას;

გ) იმისადმი კონტროლი, რომ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებულმა ყველა საწარმომ და მეურნეობამ დაიცვას მოქმედი კანონმდებლობა ჯართისა და შავი და ფერადი ლითონების ნარჩენების შეგროვების, დამზადების, გადამუშავების, გაგზავნისა და გამოყენების საკითხებზე;

დ) მომხმარებელი ქარხნებისათვის ჯართისა და შავი და ფერადი ლითონების ნარჩენების თანაბრად გაგზავნის უზრუნველყოფა. მათთვის დაწესებული თვიური ნორმების შესაბამისად;

ე) ჯართისა და შავი და ფერადი ლითონების ნარჩენების რესურსების შესწავლა და იმ მოთხოვნილების გამოვლინება, რასაც მათზე აყენებენ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებული საწარმოები და მეურნეობანი;

ვ) ჯართისა და შავი და ფერადი ლითონების ნარჩენების დამზადების (ჩაბარების) გეგმების და მეურნეობის დარგებს შორის მათი განაწილების გეგმების პროექტების შედგენა;

ზ) გადასამუშავებელი და დასანაჭრებელი ჯართისა და შავი და ფერადი ლითონების ნარჩენების რაოდენობისა და სახეობათა დადგენა: ჯართგადამმუშავებელ მოწყობილობაზე არსებული მოთხოვნილების გამოვლინება სახეობათა მიხედვით და მისი განაწილება რესპუბლიკის ფარგლებში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ) რესპუბლიკაში ჯართისა და შავი და ფერადი ლითონების ნარჩენების სარკინიგზო და წყლის ტრანსპორტით გადაზიდვის გეგმების მომზადება;

ი) ცვლილებების შეტანა დადგენილი წესით ჯართისა და შავი და ფერადი ლითონების ნარჩენების დამზადების გეგმებში ცალკეული საწარმოებისა და მეურნეობების მიხედვით ისე, რომ არ შემცირდეს მთლიანად საქართველოს სს რესპუბლიკისათვის დამტკიცებული გეგმები.

4. შენარჩუნებულ იქნას ჯართისა და შავი და ფერადი ლითონების ნარჩენების დამზადების, გადამუშავების და გასაღების ორგანიზაციებში, საწარმოებსა და მეურნეობებში შრომის ანაზღაურების პირობები და პრემიალური სისტემები, აგრეთვე ის შეღავათები და უპირატესობანი, რომლებიც დაწესებულია შავი ლითონების ჯართის დამზადების ყოფ. საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს და ფერადი ლითონების ჯართის დამზადების თბილისის სარესპუბლიკათაშორისო სამმართველოს მუშაკებისათვის.

5. დაევალოს სახალხო მეურნეობის საბჭოს დასამტკიცებლად წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ჯართისა და შავი და ფერადი ლითონების ნარჩენების დამზადების (ჩაბარების) წლიური გეგმები საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების მიხედვით.

საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა წარუდგინონ სახალხო მეურნეობის საბჭოს „ვტორმეტის" სამმართველოს დადგენილი წესით ჯართის დამზადების (ჩაბარების) წლიური გეგმების განაწილება ცალკეული საწარმოებისა და მეურნეობების მიხედვით.

6. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს:

ა) აუკრძალონ მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოებსა და მეურნეობებს მეტალურგიული წიდისა და ნამუშევარი საყალიბო მიწების გატანა გადასაყრელად მანამ, ვიდრე არ მოხდება მთელი ლითონის ამოღება მათგან ელექტრომაგნიტური სეპარაციის გზითა და სხვა საშუალებებით;

ბ) განიხილონ ჯართის დამზადების დამატებითი წყაროების გამოძებნის საკითხები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* *
*

დიდ სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობას ანიჭებს რა რესპუბლიკაში შექმნილი ჯართისა და შავი და ფერადი ლითონების ნარჩენების მთელი რაოდენობის სრულად შეგროვებასა და დამზადებას მეტალურგიული და მანქანათმშენებელი საწარმოების მოსამარაგებლად ლითონის ჯართით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ავალებს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს სისტემატური კონტროლი გაუწიონ ლითონის ჯართის დამზადების (ჩაბარების) გეგმების შესრულებას და საჭირო დახმარება აღმოუჩინონ დამამზადებელ ორგანიზაციებს მათ მუშაობაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ვ. პაატაშვილი**

ქ. თბილისი, 1958 წ. 15 მარტის № 199.

---

14 მშენებლობაში ზედნადები ხარჯების შესახებ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 2 იანვრის № 1 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს მშენებლობაში ზედნადები ხარჯების (გეგმურ დაგროვებათა ჩაუთვლელად), ზღვრული ნორმა სამშენებლო სამუშაოებისა, აგრეთვე მექანიზებული წესით შესასრულებელ საჭაობმოსამზადებელი სამუშაოებისა და შეტბორების ზონების ტყის გაწმენდაზე, ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობასთან დაკავშირებით, სახალხო მეურნეობის საბჭოსათვის, უწყებებისათვის, ავტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებისათვის. № 1 დანართის თანახმად.

2. დაწესდეს მშენებლობაში ზედნადები ხარჯების ზღვრული ნორმები სახალხო მეურნეობის საბჭოსათვის, სამინისტროებისათვის, უწყებებისათვის, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებისათვის სამონტაჟო და სხვა სამუშაოებზე. № 2 დანართის თანახმად.

3. დაწესდეს, რომ ზედნადები ხარჯების ნორმები, რაც გათვალისწინებულია ამ დადგენილებით, გავრცელდება იმ სამუშაოებზე, რომლებსაც სამშენებლო ორგანიზაციები ასრულებენ გენერალური და პირდაპირი ხელშეკრულებებით ყველა შემკვეთისათვის. საზოგადოებრივი და კოოპერაციული ორგანიზაციების ჩათვლით.

სუბსაიჯარო ორგანიზაციების მიერ შესრულებული სამშენებლო სამუშაოებისათვის ანგარიშსწორების დროს შეფარდებულ იქნას ზედნადები ხარჯების ნორმები, რაც დაწესებულია გენერალური მოიჯარადრისათვის.

4. დაწესდეს სახალხო მეურნეობის საბჭოსათვის, სამინისტროებისათვის, უწყებებისათვის, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებისათვის დასამზადებელ-სასაწყობო ხარჯების ნორმები ღირებულების პროცენტულად (ფრანკო-ობიექტისპირა საწყობი): საშენი, სანიტარულ-ტექნიკური და ელექტროტექნიკური მასალებისა — 2,1, მოწყობილობისა — 1,2 და ფოლადის კონსტრუქციებისა — 0,9.

5. დაწესდეს სამშენებლო, საჭაობო-მოსამზადებელ, მიწისქვეშა სამთოკაპიტალურ და სამონტაჟო სამუშაოებზე, აგრეთვე წყალთა მეურნეობის მშენებლობის სამუშაოებზე დასაქმებული ყველა ორგანიზაციისათვის გეგმურ დაგროვებათა ნორმა პირდაპირი დანახარჯების და ზედნადები ხარჯების სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 2,5 პროცენტის რაოდენობით.

6. ამ დადგენილებით დაწესებული ზედნადები ხარჯების ნორმები გამოყენებულ იქნას 1958 წლის 1 იანვრიდან ხარჯთაღრიცხვების ახლად შედგენის დროს და ხარჯთაღრიცხვების დადგენილი წესით შეცვლის დროს, აგრეთვე 1958 წლის 1 იანვრის შემდეგ შესრულებული სამუშაოებისათვის ანგარიშსწორების დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ, სამინისტროებმა და უწყებებმა დაავალონ შემკვეთი საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს და მშენებლობათა ხელმძღვანელებს, რომლებიც ახორციელებენ სამუშაოებს ნაკრები სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო გაანგარიშებებით და ნაკრები ხარჯთაღრიცხვებით, რომლებშიაც ზედნადები ხარჯები გამოანგარიშებულია წინათ მოქმედი ნორმების თანახმად, უზრუნველყონ მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების შემცირება, ამ დადგენილების შესაბამისად დაწესებული ზედნადები ხარჯების ახალი ნორმების საფუძველზე.

7. ნება დაერთოს სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებს, უწყებებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, მთავარ სამმართველოებს, სამმართველოებს, გაერთიანებებს, კომბინატებსა და ტრესტებს მათდამი დაქვემდებარებული საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციების და იმ ორგანიზაციების წლიურ საფინანსო გეგმებში, რომლებიც ახორციელებენ მშენებლობას სამეურნეო წესით, მოახდინონ ზედნადები ხარჯების, მათ შორის ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯების, დიფერენციაცია გეგმურ დაგროვებათა ხარჯზე და მათ ფარგლებში ცალკეული სამშენებლო ორგანიზაციების და იმ ორგანიზაციების მიხედვით, რომლებიც ახორციელებენ მშენებლობას სამეურნეო წესით.

8. შენარჩუნებულ იქნას წესი სამშენებლო ორგანიზაციათა და მშენებლობათა დანახარჯების ანაზღაურებისა ზედნადები ხარჯების ნორმებს ზევით, რომლებიც მიეკუთვნებიან ზედნადებ ხარჯებს და დაკავშირებულია იმ შეღავათებისა და უპირატესობათა შეფარდებასთან, რაც დაწესებულია მთავრობის მიერ წინათ მიღებული დადგენილებებით სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგებისა და მშენებლობების მუშაკებისათვის.

9. დაწესდეს მშენებლობის პროცესში მყოფი საწარმოებისა და სხვა ობიექტების დირექციების, ტექნიკური ზედამხედველობის ჩათვლით, შენახვის ხარჯების ლიმიტები:

მშენებლობებისათვის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით: 10 მილიონ მანეთამდე — მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 0,9 პროცენტი;

10 მილიონი მანეთიდან 30 მილიონ მანეთამდე — 90 ათასი მანეთი და, გარდა ამისა, იმ თანხის 0,7 პროცენტი, რომელიც 10 მილიონ მანეთს აღემატება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

30 მილიონი მანეთიდან 50 მილიონ მანეთამდე — 230 ათასი მანეთი და გარდა ამისა, იმ თანხის 0,6 პროცენტი, რომელიც 30 მილიონს აღემატება;

50 მილიონი მანეთიდან 100 მილიონ მანეთამდე — 350 ათასი მანეთი, და გარდა ამისა, იმ თანხის 0,5 პროცენტი, რომელიც 50 მილიონს აღემატება;

100 მილიონი მანეთიდან 200 მილიონ მანეთამდე — 600 ათასი მანეთი და გარდა ამისა, იმ თანხის 0,4 პროცენტი, რომელიც 100 მილიონ მანეთს აღემატება;

200 მილიონი მანეთიდან 500 მილიონ მანეთამდე — 1.000 ათასი მანეთი და გარდა ამისა, იმ თანხის 0,35 პროცენტი, რომელიც 200 მილიონს აღემატება.

500 მილიონი მანეთიდან და მეტი — მშენებლობის დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის შემადგენლობაში შეტანილი ცალკეული ხარჯთაღრიცხვით, მაგრამ არა უმეტეს 2.050 ათასი მანეთისა და, გარდა ამისა, იმ თანხის 0,2 პროცენტი, რომელიც 500 მილიონ მანეთს აღემატება, ხოლო შავი მეტალურგიის, ნავთობისა და გაზის მრეწველობის, ქიმიური მრეწველობის, ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მშენებლობისათვის, აგრეთვე ელექტროსადგურების მშენებლობისათვის — იმ თანხის 0,3 პროცენტი, რომელიც 500 მილიონ მანეთს აღემატება.

უკეთუ დადგენილი წესით იქნა მოწყობილი ტექნიკური ზედამხედველობა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების დამოუკიდებელ მშენებლობაზე, ზემოაღნიშნული ლიმიტები შემცირდება 30 პროცენტით.

10. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, შეიტანონ საჭირო დაზუსტებანი საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების კაპიტალურ დაბანდებათა გეგმების, შრომის გეგმების, მშენებლობის თვითღირებულების შემცირების 1958 წლის დავალებათა მაჩვენებლებსა და შემოსავალ-გასავლის ბალანსებში, ზედნადები ხარჯების ახალი ნორმების შემოღებასთან დაკავშირებით.

დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს ორი დეკადის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ამ მუხლში ჩამოთვლილი გეგმების მაჩვენებელთა დაზუსტებანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზედნადები ხარჯების ახალი ნორმების შემოღებასთან დაკავშირებით, რათა ეცნობოს იგი სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს და სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს.

11. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს ერთი დეკადის ვადაში წარუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს 1958 წლის ზედნადები ხარჯების გაანგარიშება ძველი და ახალი ნორმების მიხედვით, პირდაპირი დანახარჯების სახარჯთაღრიცხვო ღირებულების საფუძველზე.

12. ძალადაკარგულად ჩაითვალოს 1958 წლის 1 იანვრიდან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 19 ივნისის № 293 დადგენილება „მშენებლობაში ზედნადები ხარჯების შესახებ".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ვ. პაატაშვილი**

ქ. თბილისი, 1958 წ. 18 მარტის № 196.

საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოს 1958 წლის 18 მარტის № 196
დადგენილების დანართი № 1

ნორმები

ზედნადები ხარჯებისა (გეგმურ დაგროვებათა ჩაუთვლელად) საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებებისათვის სამშენებლო სამუშაოებისა, აგრეთვე მექანიზებული წესით შესასრულებელი საჭაობო-მოსამზადებელი სამუშაოებისა და შეტბორების ზონების ტყის გაწმენდის სამუშაოებისა, ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობასთან დაკავშირებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

(პირდაპირი დანახარჯების სახარჯთაღრიცხვო ღირებულების პროცენტულად)

საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები	ზედნადები ხარჯების ნორმა სულ	აქედან ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯების ნორმა
სახალხო მეურნეობის საბჭო	16,3	6,8
მშენებლობის სამინისტრო	16,2	6,8
მთავთბილმშენი	16	6,5
წყალთა მეურნეობის სამინისტრო	13	6,2
სხვა სამინისტროები და უწყებები, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები	12	5

ზედნადები ხარჯების (მათ შორის ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯების) ნორმებით არ არის გათვალისწინებული ის ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მთავრობის სპეციალური დადგენილებებით დაწესებული გასამრჯელოს (პროცენტული დანამატების) მიცემასთან წელთა ნამსახურობისათვის და უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებთან გათანაბრებულ შორეულ ადგილებში მუშაობისათვის დანამატების მიცემასთან, აგრეთვე სამხედრო წოდებისათვის კუთვნილ დანამატებთან დაკავშირებული ხარჯები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ვ. პაატაშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოს 1958 წლის 18 მარტის № 196
დადგენილების დანართი № 2

ნორმები

სამონტაჟო და მიწისქვეშა სამთოკაპიტალური სამუშაოების, აგრეთვე არამექანიზებული წესით შესასრულებელი საჭაობომოსამზადებელი სამუშაოების და შეტბორების ზონების ტყის გაწმენდის სამუშაოების ზედნადები ხარჯებისა (გეგმურ დაგროვებათა ჩაუთვლელად) სახალხო მეურნეობის საბჭოსათვის, სამინისტროებისა და უწყებებისათვის, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისათვის და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებისათვის, ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობასთან დაკავშირებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამუშაოთა დასახელება	ზედნადები ხარჯების ნორმები სულ	მათ შორის ადმინისტრაციული-სამეურნეო ხარჯების ნორმები
1. საქაობო-მოსამზადებელი სამუშაოები, რომლებიც სრულდება არამექანიზებული წესით და შეტბორების ზონების ტყის გაწმენდის სამუშაოები ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობასთან დაკავშირებით (მუშათა ძირითადი ხელფასის პროცენტულად) . .	57,0	21,0
2. სამთო-კაპიტალური მიწისქვეშა სამუშაოები, როდესაც მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება ყველა სახის სამუშაოთა და მოწყობილობის შეძენის ხარჯების ჩათვლით (პირდაპირი დანახარჯების სახარჯთაღრიცხვო ღირებულების პროცენტულად) 6 მილიონ მანეთამდეა	19,0	5,7
როდესაც ეს ღირებულება 6 მილიონ მანეთზე მეტია, აგრეთვე საიჯარო წესით შესასრულებელი ყველა სამუშაოსათვის	27,0	11,0
3. ფოლადის კონსტრუქციების მონტაჟის სამუშაოები (პირდაპირი დანახარჯების სახარჯთაღრიცხვო ღირებულების პროცენტულად):		
ყველა სახის ფოლადის კონსტრუქციების მონტაჟის სამუშაოები, გარდა რკინიგზის და გზატკეცილების ხიდების ფოლადის სამალე ნაგებობებისათვის. . .	9,7	4,2
რკინიგზის ხიდების ფოლადის სამალე ნაგებობებისათვის	10,7	5,5
4. მოწყობილობის მონტაჟის სამუშაოები (მუშათა ძირითადი ხელფასის პროცენტულად):		
ელექტროგადამცემი ხაზების და სახაზო ელექტროქვესადგურების კავშირგაბმულობის ხაზებისა და ქსელების (გარდა საქალაქთაშორისო საკაბელო მაგისტრალებისა), მაგისტრალური კავშირგაბმულობის რადიოობიექტების და გამაძლიერებელი პუნქტების მონტაჟის სამუშაოები	100,0	37,0
კავშირგაბმულობის საქალაქთაშორისო საკაბელო მაგისტრალების გაყვანისა და მონტაჟის სამუშაოები.	124,0	60,0
ელექტრომონტაჟის სამუშაოები	80,0	34,0
ყველა სხვა სახის მოწყობილობის მონტაჟის სამუშაოები	80,0	28,0

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ზედნადები ხარჯების (მათ შორის ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯების) ნორმებით არ არის გათვალისწინებული ის ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მთავრობის სპეციალური დადგენილებებით დაწესებული გასამრჯელოს (პროცენტული დანამატების) გაცემასთან წელთა ნამსახურობი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათვის, უდიკურესი ჩრდილოეთის რაიონებთან გათანაბრებულ შორეულ ადგილებში მუშაობისათვის დანამატების და სამხედრო წოდებისათვის კუთვნილი დანამატების გაცემასთან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ვ. პაატაშვილი**

15 საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარაგებისა და გასაღების მთავარ სამმართველოსა და დარგობრივი სამმართველოების მოწყობის შესახებ.

საქართველოს სს რესპუბლიკაში მომარაგებისა და გასაღების ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით, აგრეთვე იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას პროდუქციის დროზე მიწოდება სხვა ეკონომიურ ადმინისტრაციულ რაიონებში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაეკისროს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სახალხო მეურნეობის მომარაგება ყველა სახეობის ნედლეულით, მასალებით სათბობითა და მოწყობილობით გამოყოფილი ფონდების ფარგლებში, აგრეთვე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მდებარე სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების მიერ მთელი გამომუშავებული პროდუქციის გასაღება.

შეიქმნას საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარაგებისა და გასაღების მთავარი სამმართველო საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და გასაღების არსებული სამმართველოს ბაზაზე.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარაგებაგასაღების მთავარ სამმართველოს დაუწესდეს შტატი 105 ერთეულის რაოდენობით.

2. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარაგებისა და გასაღების მთავარ სამმართველოსთან მოეწყოს მომარაგებისა და გასაღების სპეციალიზებული სამმართველოები:

ქვანახშირის მრეწველობის პროდუქციის მომარაგებისა და გასაღების სამმართველო (ქვანახშირმარაგგასაღება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

შავი და ფერადი მეტალურგიის პროდუქციის და ლითონის ნაწარმთა მომარაგებისა და გასაღების სამმართველო (ლითონმარაგგასაღება).

ნავთობის მრეწველობის პროდუქციის მომარაგებისა და გასაღების სამმართველო (ნავთობმარაგგასაღება).

ელექტროტექნიკური და რადიოტექნიკური მრეწველობის პროდუქციის-მომარაგებისა და გასაღების სამმართველო (ელექტრომარაგგასაღება).

ქიმიური მრეწველობის პროდუქციის მომარაგებისა და გასაღების სამმართველო (ქიმმარაგგასაღება).

ავტოსატრაქტორო, საკისრისა და ინსტრუმენტული მრეწველობის პროდუქციის მომარაგებისა და გასაღების სამმართველო (ავტოტრაქტორმარაგგასაღება).

ხე-ტყის და ქაღალდის მრეწველობის პროდუქციის მომარაგებისა და გასაღების სამმართველო (ტყექაღალდმარაგგასაღება). კვების მრეწველობის პროდუქციის მომარაგებისა და გასაღების სამმართველო (კვებმარაგგასაღება).

საშენ მასალათა მრეწველობის პროდუქციის მომარაგებისა და გასაღების სამმართველო (მშენმარაგგასაღება).

მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის პროდუქციის მომარაგებისა და გასაღების სამმართველო (მსუბმარაგგასაღება).

მომარაგების მოსკოვის სამმართველო.

3. გადაეცეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარაგებისა და გასაღების მთავარ სამმართველოს: „გლავუგლესბიტის“ ამიერკავკასიის სამმართველო, „გლავმეტალოსბიტის“ საქართველოს კანტორა, „გლავნეფტესბიტის“ საქართველოს რესპუბლიკური სამმართველო, „გლაველექტროსბიტის“ საქართველოს რესპუბლიკური კანტორა, „გლავხიმსბიტის“ თბილისის კანტორა, „გლავავტოტრაქტორსბიტის“ საქართველოს რესპუბლიკური კანტორა, „გლავსტანკოსტროი-ინსტრუმენტსბიტის“ თბილისის საბითუმო-საცალო მაღაზია, „გლავლესოსბიტის“ საქართველოს რესპუბლიკური სამმართველო, „გლავბუმსბიტის“ საქართველოს რესპუბლიკური კანტორა, „გლავსტროისბიტის“ როსტოვის კანტორის თბილისის სააგენტო, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამმართველოს მოსკოვის კანტორა.

ამ დადგენილების მე-2 მუხლში ჩამოთვლილი მომარაგება-გასაღების სპეციალიზებული სამმართველოების ორგანიზაცია ჩატარდეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ გამსაღებელი და მომმარაგებელი ორგანიზაციების ბაზაზე, რომლებიც საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარაგებისა და გასაღების მთავარ სამმართველოს გადაეცა.

ლიკვიდირებულ იქნან „სნაბჩერმეტის" ამიერკავკასიის კანტორა, „გლავტეხსნაბნეფტის" თბილისის სააგენტო, „ვინოვოდსბიტის" საბითუმო-გამსაღებელი ბაზა და „გლავპიშჩესბიტსირიოს" საქართველოს საბითუმო-სავაჭრო ბაზა.

გადაეცეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარაგებისა და გასაღების მთავარ სამმართველოს გამგებლობაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ტრესტი საქმომარაგება.

4. გამსაღებელი ორგანიზაციებისა და ტრესტ საქმომარაგების გადაცემა მოხდეს 1958 წლის 1 იანვრის მდგომარეობის მიხედვით მთელი აქტივებითა და პასივებით, მიწოდებათა ვალდებულებებით, წარმოებისა და შრომის გეგმებით, ხელფასისა და პერსონალური დანამატების ფონდებით, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, კაპიტალური მშენებლობის, კაპიტალური რემონტის გეგმებით, რომლებიც დაწესებულია 1958 წლისათვის.

5. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ დაამტკიცოს მომარაგების და გასაღების მოწყობილი სამმართველოების საშტატო ცხრილები საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს დარგობრივი სამმართველოებისა და ტრესტების მომმარაგებელ და გამსაღებელ ორგანიზაციათა შტატებისა და ხელფასის ფონდის ხარჯზე.

6. დაევალოს საქართველოს სსრ მშენებლობის, საავტომობილო ტრანსპორტის, ადგილობრივი მეურნეობის, კავშირგაბმულობის, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებს შეამცირონ სამინისტროების სამეურნეო ანგარიშის მომარაგების განყოფილებათა შტატები იმ რაოდენობით, რაც შეთანხმებული იქნება საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან.

ერთეულების შემცირებული რაოდენობა გადაეცეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს განახორციელოს ღონისძიებანი მომმარაგებელ-გამსაღებელი ორგანიზაციების ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის შემდგომი გამარტივებისათვის, აგრეთვე შემცირებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ვ. პაატაშვილი**

ქ. თბილისი 1958 წ. 31 მარტის № 228.

16 საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოთა და მშენებლობათა სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების წესის შესახებ.

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფისა და სამეურნეო მშენებლობაში მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოების ღონისძიებანი, რომლებსაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ახორციელებენ, ხელს უწყობენ მუშა-მოსამსახურეთა შემოქმედებითი აქტივობის ამაღლებას, საშუალებას გვაძლევენ კიდევ უფრო ფართოდ მოვიზიდოთ მშრომელები წარმოების მართვისათვის.

საწარმოთა და მშენებლობათა კოლექტივებს შორის სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაშლის მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და პროფესიულ კავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოთა და მშენებლობათა სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს 1958 წლიდან დაწყებული, შეაჯამებენ გაერთიანებულ სხდომებზე პროფესიულ კავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო კვარტალის განმავლობაში მუშაობის შედეგების მიხედვით არა უგვიანეს საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის 20 რიცხვისა დარგობრივი სამმართველოების და პროფკავშირთა სათანადო კომიტეტების წარდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენით და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ საწარმოებს მიანიჭებენ გარდამავალ წითელ დროშებს და ფულად პრემიებს.

2. დაწესდეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ საწარმოთა და მშენებლობათა კოლექტივების დასაჯილდოებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს 3 გარდამავალი წითელი დროშა და გარდა ამისა სახალხო მეურნეობის საბჭოს დარგობრივი სამმართველოებისათვის—პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს 11 გარდამავალი წითელი დროშა პირველი ფულადი პრემიებით, 11 მეორე და 11 მესამე ფულადი პრემიები.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ შეიმუშაოს და მიმდინარე წლის 10 მაისისათვის დასამტკიცებლად წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოს ნიმუშები (ესკიზები) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშებისა, აგრეთვე პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს გარდამავალი წითელი დროშებისა.

3. სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამება და გარდამავალი წითელი დროშების და ფულადი პრემიების მინიჭება ქვანახშირის შახტების, მარგანეცის სამადნოების, ცენტრალური გამაუხვებელი ფაბრიკებისა და შახტსამშენებლო სამმართველოების მიხედვით მოხდეს ყოველთვიურად სათანადო დარგობრივი სამმართველოებისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების წარდგენით არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო 15 რიცხვისა პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს გაერთიანებულ სხდომებზე.

დაწესდეს ქვანახშირისა და მარგანეცის მრეწველობის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ აღნიშნულ საწარმოთა კოლექტივების დასაჯილდოებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ერთი გარდამავალი წითელი დროშა, პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ერთი გარდამავალი წითელი დროშა პირველი ფულადი პრემიებით, 2 მეორე და 4 მესამე ფულადი პრემიები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს დარგობრივ სამმართველოებს, პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტებთან ერთად, შეიმუშაონ და 1958 წლის 10 მაისამდე წარუდგინონ დასამტკიცებლად პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმს და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოთა და მშენებლობათა კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების პირობები.

სოციალისტური შეჯიბრების პირობებში გაითვალისწინონ წარმოების მოცულობის, კოოპერირებულ მიწოდებათა, რეკლამაციების უქონლობის, საბინაო და სამრეწველო მშენებლობის, შრომის ნაყოფიერების ყოველმხრივ გადიდების, ახალი ტექნიკის ფართოდ დანერგვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, მისი ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების, წარმოების მოწინავეთა და ნოვატორთა მუშაობის გამოცდილების ფართოდ დანერგვის სახელმწიფო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების მაჩვენებლები.

სოციალისტური შეჯიბრების პირობებში საჭიროა აგრეთვე გათვალისწინებულ იქნას მრეწველობის თვითეული დარგის წინაშე დასახული სხვა კონკრეტული ამოცანებიც.

დაევალოს სახალხო მეურნეობის საბჭოს უზრუნველყოს სოციალისტური შეჯიბრების პირობების გამოცემა სასტამბო წესით და საჭირო ტირაჟით.

5. დამტკიცდეს პრემიების ოდენობა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული საწარმოებისათვის მომუშავეთა რიცხვის მიხედვით, დანართის თანახმად.

პრემიები გაიცეს მოცემული საწარმოს ან ორგანიზაციის ზეგეგმითი მოგების ან ზეგეგმითი ეკონომიის ხარჯზე.

6. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს 1958 წლის 10 მაისისათვის მოამზადოს და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოსთან შეთანხმებით წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად დებულებანი „სოციალისტური შეჯიბრების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნის შესახებ და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობის დარგებისათვის საპატიო სიგელის შესახებ, აგრეთვე ნიშნისა და სიგელის ესკიზები და აღწერილობა.

7. პროფკავშირთა რესპუბლიკურმა კომიტეტებმა, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ პროფკავშირების საბჭოებმა, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა მიიღონ ზომები სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი განვითარებისათვის, ამასთან ფართოდ განუმარტონ მუშებსა და მოსამსახურეებს სოციალისტური შეჯიბრების ახალი პირობები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი**	საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ლელაშვილი**

ქ. თბილისი, 1958 წ. 11 აპრილის № 232.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
და პროფკავშირთა საქ. რესპუბლიკური
საბჭოს 1958 წლის 11/IV № 232
დადგენილების დანართი

I. პრემიების სკალა

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული შემდეგი საწარმოებისათვის: შავი და ფერადი მეტალურგიისა, ქვანახშირის, სამთამადნო, ნავთობის, ქიმიური და ცემენტის მრეწველობისა, ელექტროსადგურების, მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობისა კვარტალისათვის.

მუშაკთა რიცხვი საწარმოებში			პრემიების ოდენობა (მანეთობით) კვარტალისათვის		
			პირველი	მეორე	მესამე
1			2	3	4
100-დან	150	კაცამდე	10000	7500	5000
151 „	200	„	15000	11000	7500
201 „	250	„	22000	16500	11000
251 „	300	„	24000	18000	12000
301 „	400	„	30000	22500	15000
401 „	500	„	34000	25500	17000
501 „	750	„	56000	42000	28000
751 „	1000	„	78000	58500	39000
1001 „	1250	„	95000	71000	47500
1251 „	1500	„	112000	84000	56000
1501 „	1750	„	140000	105000	70000
1751 „	2000	„	170000	127500	85000
2001 „	2500	„	200000	150000	100000
2501 „	3000	„	225000	169000	112500
3001 „	4000	„	250000	187500	125000
4001 „	5000	„	280000	210000	140000
5001 „	7500	„	310000	232500	155000
7501 „	10000	„	337000	253000	168500
10001 „	12500	„	400000	300000	200000
12500		კაცზე ზევით	450000	337500	225000

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ქვანახშირის შახტებში, მარგანეცის მაღაროებში, შახტმშენებლობის სამმართველოებში, გამაუხვებელ ფაბრიკებში სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამება მოხდება თვის განმავლობაში მუშაობის შედეგების მიხედვით, ამასთან ფულადი პრემიები გაიცემა შემდეგი სკალით:

მუშათა რიცხვი საწარმოებში				პრემიების ოდენობა (მანეთობით) თვისათვის		
				პირველი	მეორე	მესამე
1				2	3	4
500 კაცამდე				17000	13000	8500
501-დან	1000	კაცამდე		40000	30000	20000
1001 „	1500	„		56000	42000	28000
1501 „	2000	„		84000	63000	42000
2000 კაცზე ზევით				112000	84000	56000

II. პრემიების სკალა

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული საწარმოებისათვის: მანქანათმშენებლობისა, ჩარხმშენებლობისა, ხელსაწყომშენებლობისა, გემთმშენებლობისა, სათავდაცვო, საავტომობილო, რადიო და ელექტროტექნიკური, ხე-ტყისა და ქაღალდის, კვების, ხორცის, რძისა და თევზის, საფეიქრო და მსუბუქი, პოლიგრაფიული მრეწველობისა და სამენ მასალათა მრეწველობისა კვარტალებისათვის.

მუშაკთა რიცხვი საწარმოებში				პრემიების ოდენობა (მანეთობით) კვარტალისათვის		
				პირველი	მეორე	მესამე
1				2	3	4
100-დან	150	კაცამდე		8000	6000	4000
151 „	200	„		14000	10500	7000
201 „	250	„		17000	13000	8500
251 „	300	„		19000	14000	9500
301 „	400	„		23000	17000	11500
401 „	500	„		28000	21000	140000
501 „	750	„		42000	315000	21000
751 „	1000	„		56000	42000	28000
1001 „	1250	„		70000	52500	35000
1251 „	1500	„		84000	63000	42000
1501 „	1750	„		100000	75000	50000
1751 „	2000	„		112000	84000	56000
2001 „	2500	„		126000	94500	63000
2501 „	3000	„		140000	105000	70000
3001 „	4000	„		182000	136500	91000
4001 „	5000	„		225000	169000	112500
5001 „	7500	„		281000	211000	140500
7501 „	10000	„		337000	253000	168500
10000 კაცზე ზევით				365000	274000	182500

ეროვნული ბიბლიოთეკა

III. პრემიების სკალა

სამშენებლო ორგანიზაციებისათვის, სამედიცინო მრეწველობის საწარმოებისა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ყველა სხვა საწარმოსათვის, რომლებიც არ არიან ჩამოთვლილი I და II სკალების სიებში.

მუშათა რიცხვი საწარმოებში			პრემიების ოდენობა (მანეთობით) კვარტალისა და თვისათვის		
			პირველი	მეორე	მესამე
1			2	3	4
100-დან	150	კაცამდე	8000	6000	4000
151 „	200	„	12000	9000	6000
201 „	250	„	16000	12000	8000
251 „	300	„	17000	13000	8500
301 „	400	„	20000	15000	10000
401 „	500	„	22000	16500	11000
501 „	750	„	34000	25500	17000
751 „	1000	„	45000	34000	22500
1001 „	1250	„	52000	39000	26000
1251 „	1500	„	60000	45000	30000
1501 „	1750	„	66000	49500	33000
1751 „	2000	„	73000	55000	36500
2001 „	2500	„	90000	67000	45000
2501 „	3000	„	112000	84000	56000
3001 „	4000	„	140000	105000	70000
4001 „	5000	„	168000	126000	84000
5000 კაცზე ზევით			196000	147000	98000

შენიშვნები დაჯილდოების ყველა სკალისათვის

პრემიები იმ საწარმოებისათვის, სადაც მუშაკთა რიცხვი 100 კაცზე ნაკლებია, გაიცემა მუშაკთა რაოდენობის პროპორციულად პრემიის იმ თანხიდან, რაც დაწესებულია საწარმოებისათვის, სადაც მუშაკთა რიცხვი 100 კაცს შეადგენს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და პროფესიულ კავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშის მინიჭებისას საწარმოსათვის მისაცემი პრემიის ოდენობა გადიდდება 15 პროცენტით პრემიის იმ თანხასთან შედარებით, რაც დაწესებულია საქართველოს სსრ პროფსაბჭოს და სახალხო მეურნეობის საბჭოს გარდამავალი წითელი დროშის გადაცემის დროს.

საწარმოებისათვის დასაჯილდოებლად გადაცემული თანხებიდან 60—70 პროცენტი მოხმარდეს ინდივიდუალური პრემიების მიცემას

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშებისა, ინჟინერ ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისათვის და 30—40 პროცენტი კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებას და საბინაო საჭიროებებს.

ინდივიდუალური დაჯილდოებისათვის განკუთვნილი თანხებიდან 75 პროცენტი მოხმარდეს მუშათა დაჯილდოებას, ხოლო ტრესტებისა და სამმართველოების დაჯილდოების დროს — მოხმარდეს მუშების დაჯილდოებას არა ნაკლებ 50 პროცენტისა.

პრემიებიდან 20 ათას მანეთამდე ჩათვლით არ მოხდეს თანხების გადარიცხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის და მთელი თანხა მოხმარდეს ინდივიდუალურ დაჯილდოებას.

მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ საყოფაცხოვრებო და საბინაო პირობების გაუმჯობესებისათვის განკუთვნილ სახსრებს საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები დახარჯავენ პროფკავშირის საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებთან შეთანხმებით.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ საწარმოთა დირექტორები, დირექტორის მოადგილეები, მთავარი ინჟინრები, მთავარი ბუღალტრები შეიძლება დაჯილდოებულ იქნან სახალხო მეურნეობის საბჭოს მიერ ხელფასის ორი კვირის ოდენობიდან ერთი თვის ოდენობამდე.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ საწარმოებს პრემიები მიენიჭებათ მუშაობის იმ შედეგების მიხედვით, რაც დადასტურებულია საბუღალტრო ანგარიშით.

17 1958—1960 წლებში მოსახლეობისათვის მისაყიდი ავეჯის წარმოების გადიდებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების შესახებ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 19 მარტის № 307 დადგენილების შესაბამისად და მოსახლეობისათვის მისაყიდი ავეჯის წარმოების გადიდების, აგრეთვე მისი ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაუწესდეთ 1958 წლისათვის მოსახლეობისათვის მისაყიდი ავეჯის წარმოების დამატებითი დავალება 6 მილიონი მანეთის რაოდენობით, მათ შორის: საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს — 2 მილიონი მანეთისა და საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს — 4 მილიონი მანეთისა, აქედან თბილი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს — 2 მილიონი მანეთისა.

2. დაწესდეს 1959 წლისათვის საქართველოს სსრ-ში ავეჯის წარმოების მოცულობა 150 მილიონი მანეთის რაოდენობით და 1960 წლისათვის — 180 მილიონი მანეთის რაოდენობით, რაც განაწილდეს სამინისტროებისა და უწყებების მიხედვით, № 1 დანართის თანახმად[1].

3. გაუდიდდეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს 1958 წლის კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა ავეჯის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობისა და რეკონსტრუქციისათვის 6 მილიონი მანეთით.

4. დაწესდეს კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა არაცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე ადგილობრივი საბჭოების ავეჯის მრეწველობის მშენებლობისა, რეკონსტრუქციისა და გაფართოებისათვის შემდეგი ოდენობით: 1958 წლისათვის — 5,2 მილიონი მანეთი, 1959 წლისათვის — 5,5 მილიონი მანეთი და 1960 წლისათვის — 5,7 მილიონი მანეთი.

დაევალოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს ორი კვირის ვადაში გაანაწილოს კაპიტალურ დაბანდებათა აღნიშნული ობიექტები რაიონული (საქალაქო) სამრეწველო კომბინატებს შორის.

5. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს და საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს უზრუნველყონ 1958—1960 წლებში ავეჯის წარმოების სიმძლავრეთა გადაცემა საექსპლოატაციოდ, № 2 დანართის თანახმად[2].

6. დაწესდეს კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სისტემაში ავეჯის მრეწველობის საწარმოების მშენებლობისა და რეკონსტრუქციისათვის 1959 და 1960 წლებში ათ-ათი მილიონი მანეთი წელიწადში, აქედან საწარმოო მშენებლობისათვის — შვიდ-შვიდი მილიონი მანეთი.

7. განაწილდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 19 მარტის № 307 დადგენილებით ავეჯის მრეწველობის საწარმოებისათვის 1958 წლის დამატებით გამოყოფილი მასალები, № 3 დანართის თანახმად[3].

8. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს:

ა) განახორციელოს 1958 წელს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ავეჯის საწარმოების სპეციალიზაციის გაფართოებას

---

1 დანართი არ ერთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთნაირი ტიპის ავეჯის და უნიფიცირებული კვანძებისა და დეტალების გამოსაშვებად, აგრეთვე საყოფაცხოვრებო ავეჯის ისეთი იაფი კომპლექტებისა და ცალკეული საგნების მასობრივი გამოშვების მოწყობას ერთოთახიანი და ოროთახიანი ბინებისათვის, რომლებიც შეხამებული იქნება გაბარიტებით საქართველოს სს რესპუბლიკისათვის ეკონომიურ ბინებიანი საცხოვრებელი სახლების დამტკიცებულ ტიპობრივ პროექტებთან;

ბ) ყოველმხრივ გააფართოოს გრეხილი ავეჯის წარმოება, რომელზედაც არსებობს მოსახლეობის გადიდებული მოთხოვნილება, და აიყვანოს ამ ავეჯის წარმოება 11 მილიონი მანეთიდან 1958 წელს 24 მილიონ მანეთამდე 1960 წელს;

გ) შექმნას ავეჯის მრეწველობის საწარმოებში დახერხილი მასალის სულ მცირე ოთხი თვის შეუმცირებელი მარაგი და გამოუყოს ავეჯის საწარმოებს პირველ რიგში ფანერი, წებო, ფურნიტური, გამოსაყვანი და ავეჯის წარმოებისათვის საჭირო სხვა მასალები;

დ) სამი თვის ვადაში მოაწყოს სპეციალური საამქრო სადურგლო ავეჯისათვის უმაღლესი ხარისხის ლითონის დეტალებისა და ფურნიტურის წარმოების დასამზადებლად ისეთი მოცულობით, რაც დააკმაყოფილებს რესპუბლიკის ავეჯის მრეწველობის მოთხოვნილებას;

ე) უზრუნველყოს რესპუბლიკის ავეჯის მრეწველობისათვის არასტანდარტული მოწყობილობის დამზადება საჭირო რაოდენობით საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებში;

ვ) შეიმუშაოს და 1960 წლამდე განახორციელოს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ თბილისის ავეჯის კომბინატისა და ქუთაისის ავეჯის ფაბრიკის დატვირთვას სრული საპროექტო სიმძლავრით;

ზ) დაამთავროს 1958 წელს მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის ელექტროფიკაციის სამუშაოები და ააშენოს ამ ფაბრიკაში კონვეირები სკამების მექანიზებული გამოყვანისა და შრობისათვის;

თ) უზრუნველყოს 1958—1959 წლებში ავეჯის საწარმოები პნევმატიკური დანადგარებით პნევმოვაიმებით, მრავალსართულიანი ჰიდრავლიკური წნეხებით, მოსარგები მრავალშპინდელიანი ჩარხებითა და შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციისათვს საჭირო სხვა მოწყობილობით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი) გაადიდოს წარმოება და გააფართოოს ბურბუშელითა და ნახერხით შევსებული სადურგლო ფილების გამოყენება ავეჯის მრეწველობაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ვ. პაატაშვილი**

ქ. თბილისი, 1958 წ. 11 აპრილის № 236.

---

18 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს შექმნის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შეიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სამმართველო.

2. დაეკისროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მშენებლობისა და არქიტექტურის სამმართველოს შემდეგი ძირითადი ამოცანების შესრულება:

— ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილების დაგეგმვის და განაშენიანების საქმის ხელმძღვანელობა;

— ტიპობრივი დაპროექტების სამუშაოთა დაგეგმვა, მათი ხელმძღვანელობა, ტიპობრივი პროექტების ფართოდ დანერგვა მშენებლობაში, არქიტექტურის დარგში საპროექტო ორგანიზაციების მუშაობისადმი კონტროლი, საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისა და მისი ღირებულების შემცირების ღონისძიებათა შემუშავება;

— განხილვა საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების მიერ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად წარმოდგენილი საპროექტო დავალებებისა ნაკრები სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო გაანგარიშებებით და ამ დავალებათა გამო თავიანთი დასკვნების წარდგენა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილების განაშენიანებისადმი, საცხოვრებელი და სამოქალაქო შენობების და საქალაქო ნაგებობათა მშენებლობის ხარისხისადმი სახელმწიფო არქიტექტურულ-სამშენებლო კონტროლის განხორციელება;

— გამოცდილებისა და ტექნიკური ინფორმაციის გაზიარების ორგანიზაცია მშენებლობისა და არქიტექტურის საკითხებზე;

— იმისდამი კონტროლი, რომ საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა შეასრულონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი დაპროექტებისა და მშენებლობის საკითხებზე;

— არქიტექტურის საქმეთა ადგილობრივი ორგანოებისადმი ხელმძღვანელობა;

— პროგრესული კონსტრუქციების დანერგვა მშენებლობაში.

3. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს დადგენილებაში ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილების დაგეგმვა-განაშენიანების საკითხებზე სავალდებულოა ყველა სახელმწიფო, კოოპერაციული, საზოგადოებრივი დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის, რომლებიც მშენებლობას ეწევიან საქართველოს სსრ ტერიტორიაზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ვ. პაატაშვილი**

ქ. თბილისი, 1958 წ. 19 აპრილის № 264.

19 საქართველოს სსრ ქალაქებში, რაიონულ ცენტრებში, სადაბო და საკურორტო ადგილებში თვითნებური მშენებლობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და ინდივიდუალური საბინაო და სააგარაკო მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფის მოწესრიგების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობის დიდი მზრუნველობის შედეგად, რესპუბლიკის ქალაქებსა და დაბებში, სახელმწიფო მშენებლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბასთან ერთად, ფართოდ გაიშალა ინდივიდუალური საბინაო მშენებლობაც. ინდივიდუალური მენაშენეები დახმარებას იღებენ ფულადი კრედიტით, საშენი მასალებითა და სხვა საშუალებებით. ინდივიდუალური, კოოპერაციული და კოლექტიური საბინაო მშენებლობის შემდგომი განვითარებისათვის ახალი მნიშვნელოვანი ღონისძიებანი გათვალისწინებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით „სსრ კავშირში საბინაო მშენებლობის განვითარების შესახებ“ და შესაბამისად — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 31 იანვრის დადგენილებით „საქართველოს სს რესპუბლიკაში საბინაო მშენებლობის განვითარების შესახებ“.

ამასთან ერთად, როგორც შემოწმებამ დაგვანახვა, ბევრია შემთხვევა, როდესაც ცალკეული მოქალაქეები არღვევენ ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის დადგენილ წესს. აშენებენ სახლებს თვითნებურად დატაცებულ მიწის ნაკვეთებზე, აგებენ უპროექტო შენობებს სანიტარულ-ტექნიკური ნორმების დარღვევით, რაც ზიანს აყენებს ქალაქების, დაბებისა და საკურორტო ადგილების განვითარებასა და კეთილმოწყობას.

მთელ რიგ შემთხვევებში გამოყოფილ მიწის ნაკვეთებზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობისას, არაშრომითი შემოსავლის მიღების მიზნით, ადგილი აქვს დამტკიცებული პროექტების დარღვევას, საცხოვრებელი ფართობის ნორმებისა და ოთახების ზღვრული რაოდენობის გადამეტებას.

ასეთი მდგომარეობა იმის გამო შეიქმნა, რომ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები სათანადო კონტროლს არ უწევენ მათს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო მიწების დაცვა-პატრონობას. არადამაკმაყოფილებლად სრულდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 27 ივლისის № 395 დადგენილება „საქართველოს სსრ ქალაქებსა და დაბებში მიწათსარგებლობის წესების დარღვევისა და თვითნებური საბინაო მშენებლობის წინააღმდეგ ბრძოლის ზომების შესახებ“ და სასტიკ პასუხისგებაში არ აძლევენ იმ პირებს, რომლებიც არღვევენ ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის წესს, რაც კანონით არის დადგენილი.

თვითნებური და უპროექტო მშენებლობის აღკვეთის, აგრეთვე ინდივიდუალური საბინაო და სააგარაკო მშენებლობისათვის მიწის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაკვეთების გამოყოფის საქმის მოწესრიგების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული და სადაბო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს, სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოების და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს მტკიცედ იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 27 ივლისის № 395 დადგენილებით და სისტემატურად განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფო მიწების თვითნებურად დატაცებისა და უპროექტო მშენებლობის შემთხვევების თავიდან აცილებას, ამასთან დატაცებისაგან მიწების დაცვა მიიჩნიონ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმედ.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს და მილიციის დაწესებულებებს ეკისრებათ იმის უშუალო პასუხისმგებლობა, რომ თავიდანვე იქნას მიღებული ყველა საჭირო ზომა მიწების თვითნებურად დატაცების აღკვეთისა და უკანონოდ აგებული შენობების აღებისათვის.

2. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული და სადაბო საბჭოების აღმასკომებს თვითნებური მშენებლობის მიზნით მიწის ნაკვეთების დატაცების შესახებ აღძრული საქმეები გადასცენ პროკურატურას, რათა მიცემულ იქნან დამნაშავენი სისხლის სამართლის პასუხისგებაში საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 88[1] მუხლის თანახმად, როგორც მიწის ნაციონალიზაციის საფუძვლების დამრღვევნი.

დაევალოს პროკურატურის ორგანოებს 15 დღის ვადაში გამოიძიონ საქმეები მიწის ნაკვეთების თვითნებურად დატაცების შესახებ.

იმ სახლებში მცხოვრებ პირთა გამოსახლების საკითხი, რომლებიც თვითნებურ მენაშენეებს ჩამოერთვათ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 88[1] მუხლის თანახმად, გადაიჭრება სასამართლოს წესით მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მოთხოვნით.

3. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული და სადაბო საბჭოების აღმასკომებს მტკიცედ ადევნონ თვალყური ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის კანონით დაწესებული ზღვრული ნორმების (2 სართული, 5 ოთახი) დაცვას ქალაქებში, რაიონულ ცენტრებში, დაბებსა და საკურორტო ადგილებში. დაწეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეს ასაშენებელი სახლის საცხოვრებელი ფართობის მაქსიმალური ნორმა 95 კვ. მეტრი, ამასთან დაცულ იქნას დამხმარე ფართობების თანაფარდობის არსებული ნორმები.[1]

დაევალოს აღმასკომებს იმ პირთა მიმართ, რომლებმაც მათთვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი სახლებისა და აგარაკების მშენებლობის დროს დაარღვიეს მშენებლობის კანონით დაწესებული ნორმები, აღძრან სარჩელები სასამართლოში საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 147[1] მუხლის შესაბამისად ზედმეტი ოთახებისა და ფართობის ჩამორთმევის და კომუნალურ ფონდში ჩარიცხვის შესახებ, ამ ფართობზე მცხოვრებ მობინადრეთა გამოსახლებით.

4. დაევალოს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს მისცეს მითითება სასამართლო ორგანოებს ათი დღის ვადაში განიხილონ ამ დადგენილების მე-2 და 3 მუხლებში აღნიშნული საქმეები.

5. დაწესდეს, რომ ახლად აშენებულ საცხოვრებელ სახლებში მობინადრეთა ჩასახლების ნებართვებს აღმასკომები გასცემენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სახლები უკვე მზად არის, რაც დადასტურებულ უნდა იქნას მიღების აქტებით, აგრეთვე იმ პირობით, თუ მენაშენეები ჩააბარებენ თავიანთ საცხოვრებელ ფართობს ადგილობრივი საბჭოებისა და უწყებების სახლებში.

აეკრძალოთ მილიციის დაწესებულებებს იმ პირთა გაწერა, რომლებიც მიუღებელ სახლებში ჩასახლდნენ; სახლის წიგნები მობინადრეთა გასაწერად მიეცეთ ინდივიდუალურ მენაშენეებს მას შემდეგ, რაც ისინი აღმასკომებისაგან მიიღებენ ნებართვებს ჩასახლების შესახებ. უკეთუ საცხოვრებელი სახლები თვითნებურად იქნა გადაცემული საექსპლუატაციოდ აღმასკომების ნებადაურთველად, მობინადრენი დაუყოვნებლივ უნდა იქნან გამოსახლებული ადმინისტრაციული წესით.

6. დაწესდეს, რომ ვიდრე სავსებით არ დამთავრდება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს კომისია არ ცნობს მას ექსპლუატაციისათვის გამოსადეგად, მენაშენეს უფლება არა აქვს გაყიდოს მოუთავებელი სახლი ან მისი ნაწილი აღმასკომის ნებადაურთველად. აღმას-

---

[1] სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წ. 18 ივლისის ბრძანებულებით საცხოვრებელი ფართობის საერთო ზღვრულ ნორმად პირადი საკუთრების უფლებით სსრ კავშირის მოქალაქეთა მიერ ახლად ასაშენებელ სახლებში დაწესებულია 60 კვადრატული მეტრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომმა, ყოველ ცალკე შემთხვევაში უნდა გამოარკვიოს ყველა გარემოება, რამაც შენობის გაყიდვის აუცილებლობა გამოიწვია და მხოლოდ საპატიო მიზეზების დროს (ავადმყოფობა, სხვა რაიონში გადასვლა და სხვა) შეუძლია მისცეს დაწყებული მშენებლობის გაყიდვის ნებართვა.

7. თავისუფალი მიწის ნაკვეთების სიმცირის გამო, აიკრძალოს, როგორც წესი, ნაკვეთების გამოყოფა ინდივიდუალური საბინაო და საგარაჟო მშენებლობისათვის კურორტ გაგრაში, გუდაუთაში, ახალ ათონში, ქობულეთში, ბორჯომში, წყალტუბოში და რეზერვირებულ იქნას არსებული მიწის ფონდი სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების და საბავშვო დაწესებულებათა მშენებლობისათვის.

აღნიშნულ ადგილებში ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთები, უკეთუ მიწის ფონდები მოიპოვება, გამოეყოთ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების გადაწყვეტილებით მხოლოდ იმ მოქალაქეებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ ამ ადგილებში, ეწევიან საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას და არ გააჩნიათ საცხოვრებელი ფართობი.

8. ქალაქებში, რაიონულ ცენტრებსა და დაბებში ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთები გამოყოფილ იქნას უპირატესობრივად საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა, აგრეთვე ცალკეულ მოქალაქეთა განაცხადებით იმ პირობით, რომ ეს მშენებლობა განხორციელდეს დამტკიცებული პროექტების მიხედვით.

9. ნება დაერთოს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს იმ შემთხვევაში, როდესაც საჭირო იქნება ნაკვეთების მიცემა სხვა მოქალაქეებისათვის ან სხვა სახის მშენებლობისათვის, ჩამოართვან ცალკეულ სახლმფლობელებს მათ სარგებლობაში არსებული ზედმეტი მიწები, მასთან დაუტოვონ მათ ქალაქებში არა ნაკლებ 600 კვ. მეტრისა, ხოლო ქალაქებს გარეთ — არა ნაკლებ 1.200 კვ. მეტრისა და შეუნარჩუნონ მათ ნაკვეთის უპირატესობრივი ამორჩევის უფლება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ვ. პაატაშვილი.**

ქ. თბილისი, 1958 წ. 23 აპრილის № 269.

ეროვნული ბიბლიოთეკა

20 **იმ პირობების დამტკიცების შესახებ, რომელთა მიხედვითაც საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშები მიენიჭებათ რაიონებს ჩაის, ყურძნის, ხილის, თამბაქოს წარმოების, მეცხოველეობის, მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის დარგში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს წარმოდგენილი პირობები, რომელთა მიხედვითაც საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშები მიენიჭებათ რაიონებს ჩაის, ყურძნის, ხილის, თამბაქოს წარმოების, მეცხოველეობის, მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის დარგში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს უზრუნველყოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშების დამზადება.

3. იმ რაიონებს, რომლებმაც მოიპოვეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 15 მარტის № 165 დადგენილებით დაწესებული გარდამავალი წითელი დროშები, პრემიები მიეცემათ და დროშების დამზადების ხარჯები გაიწევა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტით სოფლის მეურნეობის სპეციალისტების დასაჯილდოებლად გაღებულ ასიგნობათა ანგარიშში.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს შეაჯამონ მაჩვენებლები ცალკეული რაიონების მიხედვით ამ დადგენილებით დამტკიცებული პირობების თანახმად და თავისი წინადადებანი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშების მინიჭების შესახებ წარმოუდგინონ საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს:

ა) მეცხოველეობის ხაზით — ყოველკვარტალურად, მაგრამ არა უგვიანეს კვარტალის მომდევნო პირველი თვის 25 რიცხვისა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ჩაის ხაზით — არა უგვიანეს 10 ივლისისა და 30 ოქტომბრისა;

გ) მევენახეობის, მეხილეობის, მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის ხაზით — არა უგვიანეს 15 იანვრისა;

დ) მეთამბაქოობის ხაზით — არა უგვიანეს 5 მარტისა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ვ. პაატაშვილი**

ქ. თბილისი, 1958 წ. 4 მაისი, № 290.

დამტკიცებულია საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს 1958 წლის
4 მაისის № 290 დადგენილებით

პირობები

რომელთა მიხედვითაც საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშები მიენიჭებათ რაიონებს ჩაის, ყურძნის, ხილის, თამბაქოს წარმოების, მეცხოველეობის, მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის დარგში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის

1. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშები მიენიჭებათ რაიონებს, რომლებმაც მიაღწიეს:

ჩაის ხაზით:

უმაღლეს მაჩვენებლებს ხარისხოვანი მწვანე ჩაის ფოთლის საერთო მოსავლის ზრდაში საშუალოდ სამი წინა წლის საერთო მოსავალთან შედარებით, აგრეთვე უმაღლეს მაჩვენებლებს მწვანე ჩაის ფოთლის ხარისხების მიხედვით დამზადებისა და მზა ჩაის ასორტიმენტულად გამოშვების გეგმების შესრულების საქმეში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშის მინიჭება მოხდება წელიწადში ორჯერ: ჩაის ფოთლის კრეფის სეზონის პირველი ნახევრის შედეგებისათვის — ივლისში და ფოთლის წლიური კრეფის შედეგებისათვის — ოქტომბერში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მევენახეობის ხაზით:

უმაღლეს მაჩვენებლებს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საშუალოდ ერთ ჰექტარზე ნარგავების მოსავლიანობის, ახალი ვენახებისა და საძირე ვაზის სადედეების გაშენების, სტანდარტული ნერგის, საძირე ვაზის სადედეებისაგან ლერწის გამოსავლის და რაიონის მიერ სახელმწიფოსათვის ყურძნის ჩაბარების გეგმის შესრულების საქმეში.

მებაღეობის ხაზით:

უმაღლეს მაჩვენებლებს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საშუალოდ ერთ ჰექტარზე ნარგავების მოსავლიანობის, ბაღების გაშენებისა და სახელმწიფოსათვის ხილის ჩაბარების გეგმის შესრულების საქმეში.

მეთამბაქოობის ხაზით:

უმაღლეს მაჩვენებლებს მოსავლიანობის ზრდაში საშუალოდ ორი წინა წლის მოსავლიანობასთან შედარებით, დაწესებული ვადისათვის თამბაქოს ჩაბარების გეგმის შესრულების საქმეში იმ პირობით, თუ ჩაბარებულია მეტი რაოდენობა უმაღლესი ხარისხის ნედლეულისა პროპორციულად საერთო მოსავლის მიმართ.

მეცხოველეობის ხაზით:

უმაღლეს მაჩვენებლებს წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით, ხორცის, რძის, კვერცხის და მატყლის საერთო წარმოების გადიდების დარგში, აგრეთვე 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე ამ პროდუქტების წარმოების უმაღლეს მაჩვენებლებს, პირუტყვის საზოგადოებრივი სულადობის უკეთ შენარჩუნებას და მეტ ზრდას, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების, დამზადებისა და შესყიდვის გეგმების შესრულებას, სახელმწიფოსათვის ჩაბარებული პირუტყვის სიმსუქნის გათვალისწინებით.

მეაბრეშუმეობის ხაზით:

უმაღლეს მაჩვენებლებს სახელმწიფოსათვის თუთის აბრეშუმის ჭიის პარკის ჩაბარების გეგმის შესრულებაში იმ პირობით თუ შეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულებულია პირველი ორი ხარისხის პარკის ჩაბარების გეგმა, აგრეთვე საგაზაფხულო გამოკვებისაგან მიღებული პარკის ჩაბარების გეგმა და თუთის ნარგავების გაშენების დავალებანი.

მეფუტკრეობის ხაზით:

რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფუტკრის ერთ ოჯახზე სასაქონლო თაფლის, ცვილის და ნამატის მეტი რაოდენობის მიღებას მთლიანად საფუტკრეში და ფუტკრის ოჯახების უზრუნველყოფას ზამთრისათვის საკვებით.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშები მიენიჭებათ რაიონებს მაღალი მაჩვენებლების მიღწევისათვის ჩაის, ყურძნის, ხილის, თამბაქოს წარმოების, მეცხოველეობის, მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის დარგში იმ პირობით, თუ რაიონებმა შეასრულეს სახელმწიფოსათვის ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის ჩაბარების გეგმები.

2. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშის მინიჭება მევენახეობის, მებაღეობის, მეთამბაქოობის, მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის დარგში მაღალი მაჩვენებლების მიღწევისათვის მოხდება წელიწადში ერთხელ, ხოლო მეცხოველეობის დარგში მაღალი მაჩვენებლების მიღწევისათვის — ყოველკვარტალურად.

---

21 „სასკოლო მშენებლობაში კოლმეურნეობებისათვის დახმარების გაწევის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 10 აპრილის № 363 დადგენილების განხორციელების ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ეცნობოს ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, საოლქო აღმასკომსა და რაიაღმასკომებს, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1958 წლის 10 აპრილის № 383 დადგენილებით „სასკოლო მშენებლობაში კოლმეურნეობებისათვის დახმარების გაწევის შესახებ“ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს დაავალა:

მისცეს კოლმეურნეობებს სასოფლო-სამეურნეო ბანკის სესხი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლებთან ინტერნატების, სას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წავლო სახელოსნოებისა და სკოლა-ინტერნატების მშენებლობისათვის სოფელ ადგილებში, რაც ხორციელდება კოლმეურნეობათა საკუთარი სახსრებით; აღნიშნული კრედიტი მისცეს მშენებარე ობიექტის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 50 პროცენტამდე რაოდენობით სამ წლამდე ვადით და მისი დაფარვით დაწყებული სესხის გაცემის მეორე წლიდან;

კოლმეურნეობებისათვის სასკოლო მშენებლობაზე კრედიტის მიცემა წარმოებდეს, როცა არსებობს კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილება და რაიაღმასკომის გადაწყვეტილება;

ყოველწლიურად გაითვალისწინოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის საკრედიტო გეგმის პროექტებში შესაბამისი კრედიტები კოლმეურნეობებისათვის სასკოლო მშენებლობაზე;

აღნიშნული მიზნებისათვის კრედიტების გაცემა 1958 წელს წარმოებდეს, საჭირო შემთხვევებში, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომების ნებართვით, სასოფლო-სამეურნეო ბანკის იმ კრედიტების საერთო თანხის ფარგლებში, რომლებიც კოლმეურნეობებისათვის გათვალისწინებულია სათანადო რესპუბლიკაში, მხარეებსა და ოლქებში 1958 წლისათვის დამტკიცებული საკრედიტო გეგმით.

2. დაევალოს სახალხო მეურნეობის საბჭოს, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს, საქჰიდროენერგომშენსა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

ა) მისცენ მითითება დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს გამოუყონ კოლმეურნეობებს სახელშეკრულებო საწყისებზე (სასკოლო შენობების მშენებლობის ცალკეულ სამუშაოთა წარმოების პერიოდში) ექსკავატორები, ბულდოზერები, ხსნარსარეველები, ამწევები, ტრანსპორტიორები და სხვა სამშენებლო მანქანები და მექანიზმები სახელმწიფო გეგმების შესრულების დაუზიანებლად.

ბ) დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებს მათი განაცხადებით და მათს ხარჯზე დაქვემდებარებულ საწარმოებში სადურგლო და საფილო ნაკეთობათა, აგრეთვე სასკოლო მშენებლობისათვის ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების დამზადებაში.

გ) ჩააბან, საჭირო შემთხვევებში, სამრეწველო და სხვა საწარმოები და მშენებელი ორგანიზაციები (სახელშეკრულებო პირობებით)

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლმეურნეობებში სასკოლო შენობების მშენებლობის განხორციელებაში.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ დამპროექტებელი ორგანიზაციების ხელმძღვანელებს უზრუნველყონ კოლმეურნეობანი მათი განაცხადებით და მათს ხარჯზე სასკოლო მშენებლობის ტიპობრივი პროექტებით.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმის შედგენისას, აგრეთვე მასალების განაწილებისას იმ კოლმეურნეობებისათვის, რომლებიც სასკოლო მშენებლობას თავისი ძალებით ახორციელებენ, გამოყოს საცალო ფასად საშენი მასალები ადგილობრივი რესურსებიდან, აგრეთვე ცემენტი, ხე-ტყე, ლურსმანი, საღებავები, ოლიფა და სხვა მასალები და სანტექნიკური მოწყობილობა სახელმწიფო გეგმების შესრულების დაუზიანებლად.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 3 მარტის № 127 დადგენილების დამატებად დაევალოთ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს, კოლმეურნეობათა წევრების საერთო კრებების წინადადებათა საფუძველზე, ორი თვის ვადაში დააზუსტონ იმ სკოლების სიები, რომელთა მშენებლობა ხორციელდება 1958—1959 წლებში კოლმეურნეობათა სახსრებით, წლებზე განაწილებით და მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებისა და ვადების აღნიშვნით, და ამ სკოლების სიები წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

6. დაევალოთ რაიაღმასკომებს ფართოდ განუმარტონ კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს ამ დადგენილების მნიშვნელობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ვ. პაატაშვილი**

ქ. თბილისი, 1958 წ. 15 მაისი № 301.

ეროვნული ბიბლიოთეკა

22 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლობის დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს დებულება სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლობის შესახებ, დანართის თანახმად.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს დებულება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლობის შესახებ, რაც დამტკიცებულია საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1937 წლის 4 აპრილის № 338 დადგენილებით (საქართველოს სსრ კანონთა და განკარგულებათა კრებული, 1937 წ., № 10, მუხ. 62).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ვ. პაატაშვილი**

ქ. თბილისი, 1958 წ. 15 მაისი, № 303.

დამტკიცებულია საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 15
მაისის № 303 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლობის შესახებ

1. იმ მიზნით, რომ განხორციელდეს საქართველოს სსრ მთავრობის მუდმივი კავშირი სსრ კავშირის მთავრობასთან და საქართველოს სსრ ინტერესების წარმომადგენლობა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სსრ კავშირის ორგანოების წინაშე, „სსრკ სახალხო კომისართა საბჭოსთან მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების წარმომადგენლობის შესახებ“ სსრ კავშირის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის 4 თებერვლის დადგენილების (სსრკ კანონთა კრებული, 1931 წ., № 8, მუხ. 95) საფუძველზე არსებობს საქართველოს სსრ მუდმივი წარმომადგენლობა.

2. მუდმივი წარმომადგენლობის გამგებლობაში შედის:

ა) გაატაროს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და სსრ კავშირის მთავრობის სხვა ორგანოებში საქართველოს სსრ მთავრობის მიერ აღძრული საკითხები;

ბ) გასწიოს საქართველოს სსრ ინტერესების წარმომადგენლობა იმ საკითხებში, რომელნიც შედიან საერთო საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკური სამინისტროების, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტებისა და სხვა ცენტრალური ორგანოების გამგებლობაში;

გ) მისცეს სათანადო განმარტებანი სსრ კავშირის საკანონმდებლო და მთავრობის ორგანოებს;

დ) სისტემატურად აცნობოს საქართველოს სსრ მთავრობას სსრ კავშირის ორგანოების საქმიანობა იმ საკითხებში, რომელთაც უშუალო დამოკიდებულება აქვთ საქართველოს სს რესპუბლიკასთან;

ე) აცნობოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, აგრეთვე საქართველოს სსრ დაინტერესებულ უწყებებს სსრ კავშირის მთავრობის ღონისძიებათა პროექტები, რომელნიც მოითხოვენ მოკავშირე რესპუბლიკებისაგან აზრის გამოთქმას, ამასთან მოკავშირე რესპუბლიკებთან შესათანხმებელი სსრ კავშირის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და სხვა უწყებების ბრძანებათა და ინსტრუქციათა პროექტები;

ვ) აცნობოს სსრ კავშირის მთავრობას, მის შეკითხვებზე, საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სსრ კავშირის საკანონმდებლო და მთავრობის აქტების გატარების შესახებ და საქართველოს სსრ მთავრობის ღონისძიებებზე საქართველოს სსრ სამეურნეო და კულტურული ცხოვრების სხვადასხვა დარგში;

ზ) იქონიოს კავშირი სსრ კავშირის მთავრობის ორგანოებთან და სსრ კავშირის მთავრობასთან არსებულ სხვა მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლობებთან ურთიერთ ინფორმაციის მიზნით იმ საკითხებზე, რომელნიც შეთანხმებულ საქმიანობას მოითხოვენ;

თ) დაამყაროს საქართველოს სსრ სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი ორგანიზაციების კავშირი საერთო საკავშირო და რესპუბლიკურ სამეცნიერო დაწესებულებებთან და შემოქმედებით ორგანიზაციებთან;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი) მონაწილეობა მიიღოს საქართველოს სსრ გამოფენების, ჩვენების, შემოქმედებითი გამოსვლების მოწყობასა და მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის და კულტურის მიღწევათა პოპულარიზაციაში, რომელნიც ხორციელდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მითითებით ქ. მოსკოვში;

კ) მეთვალყურეობა გაუწიოს ქ. მოსკოვში მყოფ საქართველოს სსრ სამეურნეო ორგანიზაციებსა და საქართველოს სსრ პავილიონს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

კონტროლი გაუწიოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარაგების მოსკოვის სამმართველოს მუშაობას საქართველოს სს რესპუბლიკისათვის გამოყოფილი მასალების, მოწყობილობის და სამრეწველო ნაკეთობათა რეალიზაციის დარგში;

ლ) თვალყური ადევნოს ქ. მოსკოვში მოსწავლეებს და აღმოუჩინოს მათ საჭირო დახმარება;

მ) მეთვალყურეობა და კონტროლი გაუწიოს საქართველოს სსრ მთავრობის ორგანოების მიერ ქ. მოსკოვში მივლინებულ პირთა საქმიანობას ამა თუ იმ დავალებათა შესრულებისათვის, მისცეს მათ საჭირო მითითება და აღმოუჩინოს დახმარება.

3. მეორე პუნქტში აღნიშნულ ამოცანათა განსახორციელებლად, მუდმივ წარმომადგენლობას უფლება აქვს უშუალო ურთიერთობა იქონიოს სსრ კავშირის ყველა ორგანოსთან საამისოდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მხრივ განსაკუთრებული რწმუნების გარეშე.

4. მუდმივი წარმომადგენლობის მთელი საქმიანობის ხელმძღვანელობას ახორციელებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

5. მუდმივი წარმომადგენლობის სათავეშია საქართველოს სსრ მუდმივი წარმომადგენელი, რომელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

საქართველოს სსრ მუდმივ წარმომადგენელს ყავს მოადგილე, რომელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

6. სსრ კავშირის მთავრობასთან საქართველოს სსრ მუდმივი წარმომადგენელი წარმართავს მუდმივი წარმომადგენლობის მთელ საქმიანობას და ყველაფრისათვის პასუხს აგებს საქართველოს სსრ მთავრობის წინაშე.

7. მუდმივი წარმომადგენლობის სტრუქტურასა და შტატს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

მუდმივი წარმომადგენლობის მოსამსახურეებს დანიშნავს და დაითხოვს მუდმივი წარმომადგენელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. მუდმივი წარმომადგენლობის შესანახი სახსრები გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტით.

მუდმივ წარმომადგენელს მინიჭებული აქვს უფლება განაგოს კრედიტები.

9. იმ მიზნით, რომ ყოველთვის და სრულად იცნობდეს მუდმივი წარმომადგენლობა საქართველოს სსრ მთავრობის ორგანოების საქმიანობას და ღრმად შეისწავლოს რესპუბლიკის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების ეკონომიკა:

ა) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობა უგზავნის მუდმივ წარმომადგენლობას საქართველოს სსრ ყველა კანონს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებსა და განკარგულებებს, აგრეთვე იმ წარდგინების, პროექტებისა და მიმართვების პირებს, რომელნიც იგზავნება სსრ კავშირის ორგანოებში, საჭირო მასალების დართვით;

ბ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისია, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო, სამინისტრო და უწყებები რეგულარულად უგზავნიან მუდმივ წარმომადგენლობას ცნობებს გეგმის შესრულების შესახებ, აგრეთვე სხვა მასალებს იმ საკითხების გასაშუქებლად, რომელნიც შეეხება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარებას.

10. ის პირნი, რომელთაც გზავნიან ქ. მოსკოვში საქართველოს სსრ მთავრობის ორგანოები ამა თუ იმ დავალების შესასრულებლად, მოქმედებენ სრული კონტაქტით მუდმივ წარმომადგენლობასთან და ცნობას აწვდიან მას თავისი მუშაობის შესახებ.

11. მუდმივ წარმომადგენლობას აქვს მუდმივი სამყოფელი ადგილი ქ. მოსკოვში.

12. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საქართველოს სსრ მუდმივ წარმომადგენლობას აქვს ბეჭედი საქართველოს სსრ სახელმწიფო ღერბის გამოხატულებით და თავისი სახელწოდებით რუსულ და ქართულ ენებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

23 მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან ბავშვთა და მოზარდთა მომწყობი კომისიების დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს დებულება მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან ბავშვთა და მოზარდთა მომწყობი კომისიების შესახებ.

2. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს სისტემატურად გაუწიონ კონტროლი და წარმართონ საქალაქო და რაიონულ აღმასკომებთან არსებული კომისიების მუშაობა.

3. დაევალოს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან, სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსთან, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროსთან ერთად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად წარმოადგინოს არა უგვიანეს მიმდინარე წლის 1 სექტემბრისა ინსტრუქციის პროექტი ბავშვთა და მოზარდთა მეურვეობის, მზრუნველობის, შვილად აყვანის, პატრონობისა და მოწყობის შესახებ.

4. დაევალოს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს მიმდინარე წლის 1 სექტემბრისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში წარმოადგინოს პროექტი დადგენილებისა ბავშვთა და მოზარდთა მეურვეობის, მზრუნველობის, შვილად აყვანის, პატრონობისა და მოწყობის თაობაზე მოქმედ დადგენილებათა შეცვლისა და გაუქმების შესახებ.

5. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „უდედმამოდ დარჩენილი ბავშვების მომწყობი საქალაქო (რაიონული) აღმასკომების კომისიების დებულება“, რაც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 2 ოქტომბრის № 621 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუჭავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ვ. პაატაშვილი**

ქ. თბილისი, 1958 წ. 28 მაისი, № 332.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 28
მაისის № 332 დადგენილებით

დებულება

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან ბავშვთა და მოზარდთა მომწყობი კომისიების შესახებ

1. ბავშვთა და მოზარდთა მომწყობი კომისიები იქმნება მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან.

2. კომისიები იქმნება შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე— მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და 5—7 წევრი — საქალაქო, რაიონული განათლების განყოფილებების, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივი ორგანოების, საკავშირო ალკკ და პროფკავშირების შესაბამისი კომიტეტების წარმომადგენლები.

3. ბავშვთა და მოზარდთა მომწყობი კომისიის პერსონალურ შემადგენლობას ამტკიცებს, მშრომელთა დეპუტატების საბჭოს შესაბამისი აღმასკომი.

4. კომისიის ამოცანებია ბავშვთა უმეთვალყურეობის თავიდან აცილება, მისი ლიკვიდაციისათვის ხელშეწყობა, ბავშვთა და მოზარდთა მოწყობა და მათ უფლებათა დაცვა.

5. ზემოაღნიშნული ამოცანების განხორციელების მიზნით ბავშვთა და მოზარდთა მომწყობი კომისიები:

ა) ათანხმებენ განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, შრომითი რეზერვების, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობას იმ ბავშვთა და მოზარდთა მოწყობაში, რომლებიც დარჩნენ მშობელთა ზრუნვის გარეშე; მათი უფლებების დაცვასა და ბავშვთა უმეთვალყურეობის წინააღმდეგ ბრძოლაში;

ბ) იმუშავებენ და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების დასამტკიცებლად შეაქვთ წინადადებანი და ღონისძიებანი ბავშვთა და მოზარდთა მოწყობის, ბავშვთა უმეთვალყურეობის თავიდან აცილების, მატერიალური, სოციალურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფლებრივი და პედაგოგიური დახმარების საკითხებზე იმ ოჯახებისათვის, რომელთაც ეს ესაჭიროებათ, და ახორციელებენ კონტროლს მათი შესრულებისადმი;

გ) აწყობენ მუშაობას იმ ბავშვთა გამოსავლინებლად, რომელთაც ესაჭიროებათ მოწყობა საბავშვო სახლებში, სკოლა-ინტერნატებში მშრომელთა ოჯახებში (მეურვეობა, შვილად აყვანა და პატრონობა), გზავნიან მოზარდებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ შრომითი რეზერვების მთავარი სამმართველოს სისტემის სასწავლებლებში, შრომით აწყობენ მათ მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობისა და სარეწაო კოოპერაციის საწარმოებში და ახორციელებენ კონტროლს შრომამოწყობილი მოზარდების სწავლისადმი, მათ მიერ საწარმოო კვალიფიკაციის მიღებისა და მათთვის სათანადო მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნისადმი;

დ) იზიდავენ საზოგადოებრიობას, რათა მან კონტროლი გაუწიოს საბავშვო სახლებში, სკოლა-ინტერნატებში, ბავშვთა მიმღებ-განმანაწილებლებში, კოლონიებში, სახელოსნო სასწავლებლებში, საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებსა და სხვა ბავშვთა აღსაზრდელ დაწესებულებებში შენახვისა და აღზრდის პირობებს, თვალყური ადევნონ საპატრონოდ და სამეურვეოდ აყვანილი ბავშვების ცხოვრების პირობებს, მოსახლეობაში მოაწყოს მასობრივი ახსნა-განმარტებითი მუშაობა ბავშვთა უმეთვალყურეობის თავიდან აცილებისა და არასრულწლოვანთა უფლებების დაცვაში, აგრეთვე ბავშვებთან და მოზარდებთან ფართო სკოლისგარეშე მუშაობის მოწყობაში.

ამ მიზნით ქმნიან საზოგადოებრივ აქტივს ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების, მუშების, მოსამსახურეების, კოლმეურნეების, მასწავლებლებისა და საბავშვო დაწესებულებათა აღმზრდელების რიცხვიდან.

6. ბავშვთა და მოზარდთა მომწყობ კომისიებს უფლება აქვთ განიხილონ და გადაწყვიტონ საკითხები საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ბავშვთა აღსაზრდელ კოლონიებში ბავშვებისა და მოზარდების გაგზავნის შესახებ მათთვის დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

ამ კატეგორიის საქმეებს კომისიები განიხილავენ 10 დღის ვადაში, პედაგოგების, არასრულწლოვანთა მშობლების ან მათი შემცვლელი პირების უთუო მონაწილეობით, არასრულწლოვანთა გამოწვევით.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ბავშვთა აღსაზრდელ კოლონიებში ბავშვებისა და მოზარდების გაგზავნის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კითხის განხილვისას კომისია ვალდებულია იქონიოს დასაბუთებული მასალები საქმის შესახებ, რომლებსაც წარმოადგენენ განათლების ან პროკურატურის და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ქალაქ თბილისში საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს აღსაზრდელ კოლონიებში ბავშვთა და მოზარდთა გაგზავნის საქმეებს განიხილავს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებული კომისია.

ბავშვთა და მოზარდთა მომწყობ კომისიებს უფლება აქვთ განიხილონ, ბავშვთა კოლონიების ადმინისტრაციის წარდგენით, აგრეთვე კოლონიებიდან აღსაზრდელთა გამოშვების, მათი მოწყობის საკითხები და მიიღონ ამ საკითხებზე საჭირო გადაწყვეტილებანი.

აღსაზრდელთა გამოშვებისა და მოწყობის საკითხს განიხილავენ ის კომისიები, რომლებმაც წინათ გამოიტანეს დადგენილებანი ამ აღსაზრდელთა კოლონიებში გაგზავნის შესახებ.

იმ აღსაზრდელთა გამოშვების საკითხს, რომლებიც ბავშვთა აღმზრდელ კოლონიებში არიან გაგზავნილი სასამართლოების დადგენილებით, განიხილავენ კომისიები აღსაზრდელთა საცხოვრებელი ან მოწყობის ადგილის მიხედვით.

(საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წ. 3 ნოემბრის დადგენილება № 717).

7. ბავშვთა და მოზარდთა მომწყობ კომისიას განსაკუთრებული აპარატი არა აქვს და თავის მუშაობაში იყენებს აღმასკომების აპარატს.

8. ბავშვთა და მოზარდთა მომწყობი კომისიები თავისი საქმიანობის ანგარიშს პერიოდულად უდგენენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების შესაბამის აღმასრულებელ კომიტეტებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

24 **საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ბუნების დაცვის კომისიის დებულების შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ბუნების დაცვის კომისიის დებულება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუჭავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ვ. პაატაშვილი**

ქ. თბილისი, 1958 წ. 28 მაისი № 333

დამტკიცებულია საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 28
მაისის № 333 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ბუნების დაცვის კომისიისა

I. ზოგადი დებულებანი

1. ბუნების დაცვის კომისია არსებობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან.

2. კომისია აწარმოებს სამეცნიერო, საკოორდინაციო, სამეცნიერო-მეთოდურსა და სამეცნიერო-ორგანიზაციულ მუშაობას საქართველოს სსრ ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვისა და აღდგენის მიზნით.

3. კომისიაში შედიან აკადემიასა და სხვა ორგანიზაციებში მომუშავე სპეციალისტები, რომლების საქმიანობა დაკავშირებულია ბუნებრივ სიმდიდრეთა შესწავლისა და ბუნების დაცვის საქმესთან.

კომისიის პერსონალურ შემადგენლობას, აკადემიის წარდგინებით, ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. თავის მუშაობაში კომისია ემყარება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და საუწყებო სამეცნიერო დაწესებულებების სამეცნიერო-კვლევითსა და სამეურნეო-პრაქტიკულ საქმიანობას, აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობას.

5. თავისი მუშაობისათვის კომისია ანგარიშს აგებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წინაშე.

იგი აწვდის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებულ ბუნების დაცვის კომისიას ინფორმაციას თავის მუშაობის შესახებ.

II. კომისიის მოვალეობანი

თავისი ძირითადი ამოცანების შესასრულებლად კომისია აწარმოებს მუშაობას შემდეგი მიმართულებით:

1. ამუშავებს, სათანადო ორგანიზაციების მონაწილეობით, საქართველოს სსრ ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვისა და აღდგენის მეცნიერულ საფუძვლებს.

2. ავლენს საქართველოს სსრ ბუნების ისეთ ობიექტებს, რომელთა დაცვისა თუ აღდგენის, აგრეთვე გამოყენების შეზღუდვის ამოცანები მოითხოვს ამა თუ იმ ღონისძიების განხორციელებას.

3. ამზადებს მთავრობის დადგენილებების და ინსტრუქციების პროექტებს ცხოველთა, მცენარეთა და ტყეების დაცვა-აღსადგენად, წყალსატევების, მიწისქვეშა წყლებისა და ნიადაგის დასაცავად, აგრეთვე დიდ მშენებლობათა რაიონებში (წყალსაცავები, ელექტროსადგურები, ქარხნები და სხვ.) ბუნების დამცველ ღონისძიებათა განხორციელების საკითხებზე.

4. აწარმოებს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კოორდინაციას პრობლემით: „საქართველოს სსრ ბუნების დაცვა და ნაკრძალები", რომელსაც ნაკრძალები და სხვა სამეცნიერო დაწესებულებები ამუშავებენ.

5. ეწევა კონსულტაციას ბუნების დაცვა-აღდგენის პრაქტიკული განხორციელებისა და პროპაგანდის საკითხებზე, კერძოდ ამა თუ იმ ადგილის ფაუნასა და ფლორაში ცხოველებისა და მცენარეების ახალ სახეობათა შეყვანა-შეტანის მიზანშეწონილობის შესახებ.

6. ამუშავებს რეკომენდაციებს ნაკრძალთა და ბუნების ძეგლთა რაციონალური ქსელის მოსაწყობად, ახალი ნაკრძალებისა და აღკვეთილების შექმნის შესახებ; ამზადებს წინადადებებს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის საერთო მიმართულებების უზრუნველსაყოფად ნაკრძალებში და უწევს მათ სამეცნიერო-მეთოდურ დახმარებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. ამუშავებს წინადადებებს საქართველოს სსრ ნაკრძალების მუშაობის გაუმჯობესების მიზნით.

8. საჭირო დახმარების გაწევის მიზნით, ეცნობა ნაკრძალთა საქმიანობას და სხვადასხვა ორგანიზაციების მუშაობას ბუნების დაცვის საქმეში.

9. მოწინავე გამოცდილების გადმოტანის მიზნით, შეისწავლის მუშაობას, რომელიც წარმოებს ბუნების დასაცავად საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში და საზღვარგარეთ.

10. იწვევს თათბირებსა და კონფერენციებს ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვის, ზრდისა და გაუმჯობესების საკითხებზე.

11. გამოსაცემად ამზადებს მონოგრაფიებს საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და აღდგენის საკითხებზე, აგრეთვე ხელს უწყობს საქართველოს სსრ ნაკრძალების მეცნიერული შრომების პუბლიკაციას.

12. ეწევა პროპაგანდას ბუნების დაცვის საკითხებზე პერიოდული პრესის სამეცნიერო-პოპულარული გამოცემებისა და ლექციების მეშვეობით.

იყენებს აგრეთვე ამ მიზნით კინოს, რადიოსა და სხვა საშუალებებს.

13. ხელს უწყობს ბუნების შესწავლას სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში და მოსახლეობის მიერ საერთოდ.

14. ბუნების დაცვის ინტერესების უზრუნველსაყოფად, მონაწილეობს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების მიერ ნაკრძალების რაიონებში ბუნების სიმდიდრეთა ახალი ობიექტების ათვისების საკითხების დამუშავებაში.

III. კომისიის მუშაობის წესები და ორგანიზაცია

1. კომისიის მუშაობას ხელმძღვანელობს მისი ბიურო, რომელსაც ირჩევს კომისია თავის სხდომაზე და ამტკიცებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი.

2. კომისიას ყავს შტატი — 1 სწავლული მდივანი.

3. კომისია საჭიროებისამებრ აყალიბებს სექციებს თავისი მუშაობის ძირითადი განხრების მიხედვით.

4. კომისიის დაფინანსება ხორციელდება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხარჯთაღრიცხვით.

5. კომისიას აქვს შტამპი და მრგვალი ბეჭედი წარწერით: „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. ბუნების დაცვის კომისია“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

25 **ახალი 1958—1959 სასწავლო წლისათვის სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მომზადებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ.**

ახალი სასწავლო წლისათვის სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების წარმატებით მომზადების საქმეში ფართო საზოგადოებრიობის ჩაბმის უზრუნველსაყოფად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭო ადგენენ:

1. მოწონებულ იქნას ქობულეთის რაიონის მშრომელთა და პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების ინიციატივა 1958—1959 სასწავლო წლისათვის სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების სანიმუშოდ მომზადების და ერთცვლიან მეცადინეობაზე გადასვლის უზრუნველსაყოფად სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ.

2. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ა/ო საოლქო აღმასკომს, რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს პროფორგანიზაციების საბჭოებთან და კომიტეტებთან ერთად გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება ახალი, 1958—1959 სასწავლო წლისათვის სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მომზადების უზრუნველსაყოფად: ყოველმხრივ დაუჭირონ მხარი ამ საქმეში წარმოება-დაწესებულებების კოლექტივების, კოლმეურნეობებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინიციატივას.

3. დაწესდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა რაიონებისა და ქალაქებისათვის, რომლებიც ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების და სხვა საბავშვო დაწესებულებების მომზადების საქმეში მაღალ მაჩვენებლებს მიაღწევენ.

4. დამტკიცდეს ახალი, 1958—1959 სასწავლო წლისათვის სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მომზადების საქმეში რაიონებსა და ქალაქებს შორის სოციალისტური შეჯიბრების პირობები (თან ერთვის).

5. რაიონებსა და ქალაქებს შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის შემოწმება და შედეგების შეჯამება დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს. მათვე დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიკურ საბჭოში ა. წ. 1 ნოემბრისათვის წარმოადგინონ წინადადებები სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ.

6. დაევალოს რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთების რედაქციებს ფართოდ და სისტემატურად გააშუქონ ახალი სასწავლო წლისათვის მოსამზადებლად გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
მ. კუჭავა

საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ლელაშვილი**

ქ. თბილისი, 1958 წ. 28 მაისი № 351.

დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და პროფესიული კავშირების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს 1958 წლის 28 მაისის № 351 დადგენილებით

ახალი, 1958—1959 სასწავლო წლისათვის სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მომზადებისათვის საქართველოს სსრ რაიონებსა და ქალაქებს შორის სოციალისტური შეჯიბრების პირობები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და პროფესიულ კავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა გადაეცემა რაიონს, ქალაქს, რომელთაც საუკეთესო წარმატებებს მიაღწიეს სოციალისტურ შეჯიბრებაში შემდეგი ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით:

1. სკოლის ასაკის ბავშვთა სწავლებაში სრულად ჩაბმა, ამ მიზნით სკოლის ასაკის ბავშვთა ზუსტად აღრიცხვა, განთესილ ბავშვთა სკოლებში დაბრუნება, მოსწავლეთა კონტინგენტის, კლასების დატვირთვის დაწესებული გეგმის შესრულება. სასკოლო ინტერნატების კონტინგენტისა და ქსელის გეგმის შესრულება.

2. მოსწავლეთა კონტინგენტის შენარჩუნებისათვის სათანადო პირობების შექმნა.

სასკოლო ბუფეტებისა და სასადილოების ქსელის გადიდება და მოსწავლეთა კვების საქმის გაუმჯობესება;

№ 1 ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლებთან გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მოწყობა;

ხელმოკლე მოსწავლეთათვის დასახმარებლად მატერიალური ფონდების შექმნა;

სკოლიდან დიდი მანძილით დაშორებული მოსწავლეების გადაყვან-გადმოყვანის ორგანიზაცია.

3. სკოლების, სასკოლო და სკოლა ინტერნატების, სასწავლო სახელოსნოების მშენებლობის გეგმების მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლებითა და გადაჭარბებით შესრულება, რაც ხორციელდება, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის, ისე კოლმეურნეობებისა და შეფ-ორგანიზაციის სახსრებით;

ისეთი ღონისძიებების განხორციელება, რომელნიც უზრუნველყოფენ მეორე ცვლაში მეცადინეობის ლიკვიდაციას და ერთცვლიან მეცადინეობაზე სკოლების გადაყვანას.

4. სკოლების, სკოლა-ინტერნატების, სასკოლო ინტერნატების, საბავშვო სახლების, საბავშვო ბაღების, სკოლის გარეშე დაწესებულებების შენობების კაპიტალური და მიმდინარე რემონტის მაღალხარისხოვნად და ვადაზე შესრულება; დგამ-ავეჯის სრულ წესრიგში მოყვანა, შეკეთება და ახლით შევსება.

სკოლის გარემოს კეთილმოწყობა (ეზოების შემოკავება, გამწვანება და სხვა).

5. ზამთრის სეზონისათვის სათბობი მასალით (შეშა, ნახშირი, მაზუთი) სკოლებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების დროულად უზრუნველყოფა;

სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში აღსაზრდელთა უზრუნველყოფა ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, ლოგინით და სხვა.

6. ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიისა და სხვა სასწავლო კაბინეტების ხელსაწყოებისა და ლაბორატორიული მოწყობილობის წესრიგში მოყვანა და შევსება; ახალი სასწავლო კაბინეტების, გეოგრაფიული მოედნების მოწყობა; სასკოლო ბიბლიოთეკების წესრიგში მოყვანა, წიგნადი ფონდის გაზრდა; სასწავლო სახელოსნოების შევსება, ახლის მოწყობა; სასწავლო საცდელი მიწის ნაკვეთის გაფართოება და სანიმუშოდ მოვლა-დამუშავება, სათბურების მოწყობა.

7. სახელმძღვანელოებით, რვეულებითა და სხვა სასწავლო ნივთებით მოსწავლეთა დროულად მომარაგება.

8. შვიდწლიან და საშუალო სკოლებთან კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნების, სარბენი ბილიკების, სახტომი ორმოების და სხვა სპორტულ ნაგებობათა მოწყობა და სკოლის უზრუნველყოფა სპორტული ინვენტარით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. ბავშვთა შორის საზაფხულო მუშაობის ფართოდ გაშლა, საზაფხულო გამაჯანსაღებელი ღონისძიებების წარმატებით გატარება და მასში, რაც შეიძლება, მეტი რაოდენობით ბავშვთა ჩაბმა; პიონერთა ბანაკების მოწყობა ქალაქებში და ქალაქგარეთ; ტურისტული ლაშქრობების, მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერების და ფიზკულტურული შეჯიბრების მოწყობა.

10. მოსწავლეთა ჩაბმა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში— კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სამუშაოდ მოსწავლეთა ბრიგადების შექმნა და სხვა. საზაფხულო საწარმოო პრაქტიკის მოწყობა წარმოებაში და სოფლის მეურნეობაში; მოსწავლეთა ჩაბმა ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში, სკოლის შენობის სარემონტო სამუშაოებში, დგამ-ავეჯის შეკეთებაში, სასკოლო სახელოსნოების, სათბურების, ფიზკულტურული დარბაზების და სხვა მშენებლობებში; თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღების დამზადებაში უფროსი კლასების მოსწავლეთა მონაწილეობა;

11. მასწავლებელთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით მასწავლებელთა ბინების მშენებლობა, არსებული ბინების რემონტი, სოფლად მასწავლებელთა უზრუნველყოფა გათბობითა და განათებით, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებების გატარება.

26 რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სამუშაოდ სასოფლო რაიონების სკოლებში მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების შექმნის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ განათლებისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროების წინადადება და დაევალოთ მათ რჩევა მისცენ სასოფლო რაიონების სკოლებს შექმნან მასწავლებელთა ხელმძღვანელობით VII—X კლასების მოსწავლეთაგან საწარმოო ბრიგადები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სამუშაოდ.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ა/ო საოლქო აღმასკომს, რაიონულ და საქალაქო აღმასკომებს შექმნან ყოველგვარი პირობები მოსწავლეთა საწარმოო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრიგადების ნაყოფიერი მუშაობისათვის; გეგმით გათვალისწინებულ სამუშაოთა ჩასატარებლად კოლმეურნეობების გამგეობათა მეშვეობით გამოუყონ მოსწავლეთა ბრიგადებს საჭირო რაოდენობის ტექნიკა; უზრუნველყონ მოსწავლეთა ბრიგადები სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა ყოველდღიური დახმარებით.

3. აიკრძალოს საწარმოო ბრიგადებში გაერთიანებული მოსწავლეების გამოყენება ისეთ სამუშაოებზე, რაც ბრიგადის საწარმოო დავალებით არ არის გათვალისწინებული.

4. საწარმოო ბრიგადებში გაერთიანებულ მოსწავლეთათვის სამუშაო დღის ხანგრძლივობა დაწესდეს არა უმეტეს 6 საათისა.

5. რეკომენდაცია მიეცეს კოლმეურნეობებს, რომ საწარმოო ბრიგადებში მომუშავე მოსწავლეთათვის გამომუშავების ნორმები დააწესონ კოლმეურნეთა გამომუშავების ნორმებზე 25 პროცენტით ნაკლები თანაბარი ანაზღაურების პირობებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ვ. პაატაშვილი**

ქ. თბილისი, 1958 წ. 6 ივნისი, № 373.

ეროვნული ბიბლიოთეკა

27 **საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების სოფლის მეურნეობის რაიონული ინსპექციების დებულების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს დებულება მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების სოფლის მეურნეობის რაიონული ინსპექციების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუჭავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ვ. კაატაშვილი**

ქ. თბილისი, 1958 წ. 24 ივნისი № 393

დამტკიცებულია საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 24
ივნისის № 393 დადგენილებით

დებულება

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების სოფლის მეურნეობის რაიონული ინსპექციის შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. სოფლის მეურნეობის რაიონული ინსპექცია იქმნება „საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს მიერ 1958 წლის 31 მარტს მიღებული კანონის და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 18 აპრილის № 425 დადგენილების შესაბამისად.

2. სოფლის მეურნეობის რაიონული ინსპექცია მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის დამოუკიდებელი ორგანოა, შედგება სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა ჯგუფისაგან და თავისი საქმიანობით ექვემდებარება რაიაღმასკომს და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ხოლო აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, აჭარის ასს რესპუბლიკაში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქში — რაიაღმასკომს და შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველოს.

II. სოფლის მეურნეობის რაიონული ინსპექციის ამოცანები

3. სოფლის მეურნეობის რაიონულ ინსპექციას ეკისრება:

მოწინავე გამოცდილებისა და მეცნიერების მიღწევათა პროპაგანდა და დანერგვა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში;

მეთესლეობისა და საჯიშე საქმის ორგანიზაცია;

მიწათმოწყობა და მიწების სახელმწიფო აღრიცხვა რაიონის ტერიტორიაზე;

საველტერინარო სამსახურის ორგანიზაცია;

სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა განხორციელების მეთვალყურეობა;

დახმარების გაწევა კოლმეურნეობებისადმი საბუღალტრო აღრიცხვის მოწესრიგებისა და კოლმეურნეობათა წლიური და კვარტალური ანგარიშგებების შემუშავებაში;

კონტროლი რაიონის სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მიერ გეგმების შესრულებისადმი და სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ორგანიზაცია;

რაიონის სოფლის მეურნეობის პერსპექტიული განვითარების, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის საკითხებზე რაიონული ინსპექცია მუშაობას ახორციელებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომთან არსებულ საწარმოო-ტექნიკურ საბჭოსთან მჭირდო კავშირით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III. სოფლის მეურნეობის რაიონული ინსპექციის საქმიანობა

5. სოფლის მეურნეობის რაიონული ინსპექცია მასზე დაკისრებულ ამოცანათა შესრულების მიზნით:

ა) სწავლობს რაიონის სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მდგომარეობას და კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციათა ეკონომიკას;

ბ) ფართო პროპაგანდას უწევს სოფლის მეურნეობის მეცნიერების მიღწევებსა და მოწინავე გამოცდილებას, რისთვისაც აწყობს სპეციალისტების და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა ექსკურსიებს მოწინავე მეურნეობებში, სამეცნიერო-საკვლევ და საცდელ დაწესებულებებში, აწყობს კურსებს, სემინარებსა და თათბირებს, სპეციალისტთა და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მოხსენებებსა და გამოსვლებს კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა კრებებზე, პრესაში და რადიოთი, გამოსცემს ფურცლებსა და პლაკატებს, მონაწილეობს სასოფლო-სამეურნეო გამოფენათა ორგანიზაციაში;

გ) სწავლობს და განაზოგადებს რაიონის მოწინავე მეურნეობათა მუშაობის გამოცდილებას, ამუშავებს და ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მოწინავე გამოცდილებისა და მეცნიერების მიღწევათა დანერგვის ღონისძიებებს;

დ) კონტროლს უწევს მემინდვრეობისა და მეცხოველეობაში შრომატევადი პროცესების მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ღონისძიებათა განხორციელებას და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ახალი ტექნიკის დანერგვას;

ე) ამუშავებს და იღებს ზომებს, რომ რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შრომისა და სახსრების მინიმალური დანახარჯის პირობებში განხორციელდეს 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე პროდუქციის მაქსიმალური რაოდენობის წარმოების ღონისძიებათა სისტემა;

ვ) ახორციელებს კონტროლს სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესვისა და მათი მოსავლის აღების სამუშაოთა შესრულებისადმი შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ;

ზ) დახმარებას უწევს რაიონის მეურნეობებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების და მეცხოველეობის დარგების სწორ განლაგებაში, ამასთან ითვალისწინებს მათი განვითარების უაღრესად ხელსაყრელ პირობებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ) იღებს ზომებს, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დაინერგოს ყველაზე მოსავლიანი დარაიონებული ჯიშის სასოფლო-სამეურნეო კულტურები, აგრეთვე ახორციელებს უფრო პროდუქტიული ჯიშის ცხოველთა შერჩევას რაიონის მეურნეობებში მოსაშენებლად;

ი) კონტროლს უწევს იმას თუ როგორ ასრულებენ რაიონის მეურნეობები აგროტექნიკურ ღონისძიებებს, მათ შორის ყველა კულტურის დათესვას კონდიციური თესლით, თესლის შეწამვლას გუდაფშუტისა და სხვა სოკოვანი დაავადების თავიდან ასაცილებლად, სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლებისა და დაავადებათა, სარეველებისა და მინდვრების სარეველიანობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა განხორციელებას, თესვის ნათესების მოვლის, მოსავლის აღების წესებს, მეთესლეობის, ნიადაგის დამუშავების, თესლბრუნვისა და ეროზიის საწინააღმდეგო და სატყეო-მელიორაციულ ღონისძიებათა და მინდორსაცავი ტყის გაშენების სწორ სისტემებს;

კ) კონტროლს უწევს სამანქანო-სამელიორაციო და სარემონტო ტექნიკური სადგურების მიერ შესრულებულ სამუშაოთა ხარისხს რაიონში და სარწყავი წყლის სწორად გამოყენებას;

ლ) იღებს ზომებს მეთესლეობის სწორი სისტემის დანერგვისათვის, რაც უზრუნველყოფს რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გადასვლას ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის დარაიონებული ჯიშის მაღალხარისხოვანი თესლით თესვაზე; ამ მიზნით აწყობს რაიონის თვითეულ კოლმეურნეობას და საბჭოთა მეურნეობაში ჯიშთა ცვლისა და ჯიშთა განახლების გეგმების შემუშავებას და ხელს უწყობს ამ გეგმების დაწესებულ ვადებში შესრულებას; ახორციელებს კონტროლს იმისადმი, რომ რაიონის მეთესლეობის მეურნეობებმა შეასრულონ საჯიშე თესლის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების გეგმები; აწყობს ჯიშიანი ნათესების აპრობაციას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში;

მ) ინსპექციის გამგებლობაში მყოფი საკონტროლო-სათესლე ლაბორატორიის მეშვეობით აწარმოებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლის სათესი ხარისხის შემოწმებას კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და რაიონის სხვა ორგანიზაციებში, აგრეთვე იმ თესლისას, რომელსაც ამზადებენ და უშვებენ პურის პროდუქტების სამინისტროსა და ჯიშთესლბოსტანის დამამზადებელი პუნქტები; ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს რაიონის მეურნეობათა მიერ თესლის სათესლე ხარისხის სახელმწიფო სტანდარტების დაცვისადმი;

ნ) ამუშავებს ღონისძიებებს კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, რაიონის სხვა მეურნეობებში, აგრეთვე საკარმიდამო ნაკვეთებზე მცენარეთა მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ საბრძოლველად; კონტროლს უწევს სარემონტო-ტექნიკური სადგურების მუშაობას რაიონის კოლმეურნეობებისა და სხვა მეურნეობების შხამქიმიკატებითა და აპარატურით მომარაგებისათვის და სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესრულებას; კონტროლს უწევს მავნებელთა გამოჩენისა და გავრცელების აღრიცხვისა და პროგნოზების სამსახურის სამეთვალყურეო პუნქტის მუშაობას და აწყობს რაიონის ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლებისა და დაავადებათა გამოჩენისა და გავრცელების მიმდინარე პროგნოზების შემუშავებას და გაფრთხილებას, რომ კოლმეურნეობებმა საბჭოთა მეურნეობებმა და სხვა მეურნეობებმა მიიღონ მათ წინააღმდეგ ბრძოლის უაღრესად ეფექტიანი ვადები;

ო) ახორციელებს კონტროლს რაიონის მეურნეობებში სასუქებისა და შხამქიმიკატების სწორი გამოყენებისადმი, მათი დანაკარგების აღმოფხვრისადმი, შენახვისა და ტრანსპორტირების დროს; ინსპექციის გამგებლობაში მყოფი რაიონული აგროქიმიური ლაბორატორიის მეშვეობით ახორციელებს ნიადაგის აგროქიმიურ ანალიზებს, აღგენს საკვებ ნივთიერებათა, მჟავე ნიადაგების გაკირიანებისა და გათაბაშირების მოთხოვნილებათა ნიადაგობრივ კარტოგრამებს;

პ) კონტროლს უწევს პირუტყვის, ცხენისა და ფრინველის სულადობის საკვებითა და შენობებით უზრუნველყოფის მუშაობის განხორციელებას, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ცხოველების, ფრინველის მოვლა-შენახვის გაუმჯობესებას;

ჟ) ახორციელებს კონტროლს რაიონის მეურნეობათა მიერ ზოოტექნიკური ღონისძიებების შესრულებისადმი; დახმარებას უწევს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მაღალპროდუქტიული საჯიშე პირუტყვის ჯოგის აღწარმოებაში შერჩევის, ნაკლებპროდუქტიული ცხოველებისა და მაღალი კლასის მწარმოებლების შეჯვარების, საჯიშე პირუტყვის მოვლა-შენახვისა და კვების პირობების გაუმჯობესების გზით, აგრეთვე საუკეთესო ცხოველთა მომზადებაში სახელმწიფო საჯიშე წიგნებში ჩასაწერად; სისტემატიურად უწევს კონტროლს საწარმოო ზოოტექნიკურ და საჯიშე აღრიცხვას ფერმებში, აწყობს ჯიშიანი პირუტყვის გამოფენებს, გამოყვანასა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და კონკურსებს, ახორციელებს კონტროლს პირუტყვისა და ცხენების წუნდებისადმი რაიონის მეურნეობებში:

რ) რაიონის ვეტერინარული სამკურნალოს მეშვეობით აწყობს ვეტერინარულ უბნებს;

პირუტყვის, ცხენის, ფრინველისა და ფუტკრის დაავადებათა თავიდან აცილებას, დაავადებულ ცხოველთა მკურნალობის ვეტერინარულ-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელებას;

კონტროლს საკვების ხარისხისადმი და სასოფლო-სამეურნეო პირუტყვის მოვლა-შენახვის, კვების, აგრეთვე ჯოგის აღწარმოების და ზოოჰიგიენური და ვეტერინალური წესების შესრულებისადმი;

ეპიზოოტიის საწინააღმდეგო და კარანტინის, აგრეთვე დეზინფექციის, დეზინსექციისა და დერატიზაციის ღონისძიებათა განხორციელებას მეცხოველეობის მეურნეობებსა და ორგანიზაციებში, რომლებიც უკავშირდება პირუტყვის ნედლი პროდუქტების შენახვასა და გადამუშავებას;

ვეტერინალურ-სანიტარული მეთვალყურეობას რაიონში; ვეტერინარულ ღონისძიებათა განხორციელებას, რათა დაცული იქნეს მოსახლეობა პირუტყვისა და ადამიანისათვის საერთო გადამდები დაავადებისაგან;

ვეტერინარული ქსელის, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მომარაგებას მედიკამენტებით, ბიოპრეპარატებითა და სადეზინფექციო საშუალებებით;

რაიონში განხორციელებულ ვეტერინარულ ღონისძიებათა და მათი ეფექტიანობის აღრიცხვას, აგრეთვე დაწესებული ვეტერინარული ანგარიშგების წარდგენას;

ს) ახორციელებს რაიონული ინსპექციის გამგებლობაში მყოფი ვეტერინარული სამკურნალოსა და ვეტერინარული უბნების, სასოფლო-სამეურნეო ცხოველების ხელოვნური დათესლვის სადგურისა და საინკუბატორო მეფრინველეობის სადგურის ხელმძღვანელობას;

ტ) ახორციელებს სამუშაოებს შიდასამეურნეო და მეურნეობათაშორისო მიწათმოწყობისათვის, რაციონალური თესლბრუნვის შემოღებისა და ათვისებისათვის კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და რაიონების სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში; აფორმებს მიწების გამოყოფას სახელმწიფო, საზოგადოებრივი და სხვა საჭიროებისათვის; განიხილავს მიწების შესახებ წარმოშობილ დავას და ამზადებს რაიაღმასკომის გადაწყვეტილებათა პროექტებს ამ დავის შესახებ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

უ) სწავლობს რაიონის მიწის ფონდს, ავლენს ახალ მიწებს სასოფლო-სამეურნეო ათვისებისათვის და ამუშავებს წინადადებებს მიწის სავარგულების გამოყენების გაუმჯობესების შეახებ; ახორციელებს რაიონის მიწების სახელმწიფო აღრიცხვას;

ფ) კონტროლს უწევს შრომის ნაყოფიერების სწორ ორგანიზაციას და გადიდებას რაიონის მეურნეობებში, ეხმარება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მექანიზატორთა, კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების მუშათა გამომუშავების ნორმებისა და შრომის ანაზღაურების შემუშავებაში;

ქ) აწყობს რაიონის სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებას, აგრეთვე მასობრივი კვალიფიკაციის კადრების მომზადებას;

ღ) ინსტრუქციებს აძლევს კოლმეურნეობებს საბუღალტრო აღრიცხვისა და კოლმეურნეობათა წლიური და კვარტალური ანგარიშების შედგენის, აგრეთვე საწარმოო-საფინანსო გეგმების შედგენის საკითხებზე; რეგულარულად აწყობს კოლმეურნეობათა გამგეობების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიებს; ახორციელებს სისტემატიურ კონტროლს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დაცვისადმი;

ყ) იღებს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს რაიონული ინსპექციისაგან ნაკრებ საანგარიშო მონაცემებს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებათა გეგმების შესრულების მიმდინარეობის შესახებ;

შ) უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის შესაბამისი სპეციალისტების დროულ მონაწილეობას სახელმწიფო დაზღვევის ორგანოების მიერ სასოფლო-სამეურნეო პირუტყვის ნათესებისა და ნარგავების დაავადებათა და დაღუპვის განსაზღვრის ღონისძიებათა განხორციელებაში.

IV. ინსპექციების საქმიანობა სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების დარგში

6. სოფლის მეურნეობის რაიონულ ინსპექციებს პასუხისმგებლობა ეკისრებათ სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადების ორგანიზაციისა და განხორციელებისათვის კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და რაიონის სხვა მეურნეობებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. სოფლის მეურნეობის რაიონული ინსპექტორები:

სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების რაიონისათვის დაწესებული სახელმწიფო გეგმის შესაბამისად ანგარიშობენ თვითეული კოლმეურნეობის მიხედვით, ჰექტარობრივი პრინციპის დაცვით, სახელმწიფოსათვის მარცვლეულის, კარტოფილის, ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიყიდვის ოდენობას;

კანონის შესაბამისად ანგარიშობენ სახელმწიფოსათვის პროდუქტების ჩაბარების ოდენობას მემინდვრეობისა და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების მიერ, რომლებსაც არა აქვთ პროდუქციის ჩაბარების ცენტრალიზებული გეგმები, და საწარმოთა და ორგანიზაციათა დამხმარე მეურნეობების მიერ;

უზრუნველყოფენ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და დამხმარე მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვის საგეგმო დავალებათა შესრულებას დაწესებულ ვადებში;

ახორციელებენ კონტროლს სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამამზადებელი სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაციების მუშაობისადმი, აგრეთვე იმისადმი, რომ მიმღებმა პუნქტებმა სწორად და დროზე გაუსწორონ ანგარიში კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და დამხმარე მეურნეობებს სახელმწიფოსათვის ჩაბარებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისათვის და იღებენ საჭირო ღონისძიებებს გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

V. რაიონული ინსპექციის ხელმძღვანელობა

8. სოფლის მეურნეობის რაიონულ ინსპექციას მეთაურობს უფროსი.

9. სოფლის მეურნეობის რაიონული ინსპექციის უფროსი არის რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე.

10. სოფლის მეურნეობის რაიონული ინსპექციის უფროსს და მთავარ სპეციალისტებს სამუშაოზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო რაიაღმასკომებისა და აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველოს წარდგენით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის მეურნეობის რაიონული ინსპექციის უფროსის თანამდებობაზე, როგორც წესი, ინიშნებიან პირები, რომლებსაც აქვთ უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო განათლება.

11. სოფლის მეურნეობის რაიონული ინსპექციის უფროსი შედის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომთან არსებული საწარმოო-ტექნიკური საბჭოს შემადგენლობაში, რომელიც იქმნება სოფლის მეურნეობის პერსპექტიული განვითარებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მეცნიერების მიღწევათა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის წინადადებათა განსახილველად და მოსამზადებლად.

სოფლის მეურნეობის რაიონული ინსპექციის უფროსი არის საწარმოო-ტექნიკური საბჭოს თავმჯდომარე.

12. სოფლის მეურნეობის რაიონული ინსპექციის უფროსი ექვემდებარება უშუალოდ რაიაღმასკომის თავმჯდომარეს, თავის საქმიანობას ახორციელებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის და შესაბამისად სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველოს, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროთა ხელმძღვანელობით.

13. სოფლის მეურნეობის რაიონული ინსპექციის უფროსი ერთმმართველობის საფუძველზე ახორციელებს ყველა ღონისძიებას, რომლებიც ინსპექციის წინაშე დასახული ამოცანებიდან გამომდინარეობენ.

14. სოფლის მეურნეობის რაიონული ინსპექციის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს ინსპექციის და მისი საქვეუწყებო ორგანიზაციების საქმიანობას და პასუხს აგებს დაკისრებულ ამოცანათა შესრულებისათვის;

ბ) ნიშნავს და ათავისუფლებს ინსპექციის მუშაკებს და ინსპექციის საქვეუწყებო ორგანიზაციათა ხელმძღვანელ მუშაკებს დაწესებული ნომენკლატურით;

გ) ადებს სასჯელს და წაახალისებს ინსპექციისა და მისი საქვეუწყებო ორგანიზაციების მუშაკებს;

დ) უმტკიცებს ინსპექციის მუშაკებს თანამდებობრივ ინსტრუქციებს.

15. სოფლის მეურნეობის რაიონული ინსპექცია ხელმძღვანელობს აგრონომების, ზოოტექნიკოსების, ვეტერინარული მუშაკებისა და რაიონის სხვა სპეციალისტების მუშაობას, აწყობს საწარმოო

ეროვნული ბიბლიოთეკა

თათბირებს რაიონში მომუშავე სოფლის მეურნეობის სპეციალისტებთან, მიუხედავად იმისა ვის ექვემდებარებიან ისინი, აგრეთვე სემინარებს ამ სპეციალისტებისათვის.

16. ინსპექციის უფროსისა და მთავარი სპეციალისტების მითითებანი და განკარგულებანი აგროტექნიკის, ზოოტექნიკის, ვეტერინარიის მიწათმოწყობისა და მიწათსარგებლობის, აგროტყემელიორაციის საკითხებზე სავლდებულოა სოფლის მეურნეობის ყველა სპეციალისტისათვის, აგრეთვე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და რაიონის სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის.

17. სოფლის მეურნეობის რაიონული ინსპექცია ისე ახორციელებს თავის მუშაობას, რომ დროისა და ღონისძიებების მაქსიმუნი იხარჯებოდეს წარმოების ორგანიზაციაზე, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და რაიონის სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების მუშაკებთან ცხოველ კავშირზე, თავის მუშაობაში თავს არიდებს ზედმეტ მიწერმოწერას, ყოველგვარი ცნობების შეგროვებას რათა არ ჩამოაშოროს სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა ყურადღება ძირითად საწარმოო საქმიანობას.

18. სოფლის მეურნეობის რაიონული ინსპექცია არის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე და რაიაღმასკომის ხარჯთაღრიცხვით.

19. რაიაღმასკომი ინსპექციას აძლევს შენობას, სატრანსპორტო საშუალებებს, აგრეთვე სხვა მატერიალურ სახსრებს, რაც საჭიროა ინსპექციის წინაშე დასახულ ამოცანათა განხორციელებისათვის.

20. სოფლის მეურნეობის რაიონულ ინსპექციას აქვს შტამპი და მრგვალი ბეჭედი, რომელზეც აღნიშნულია მისი სახელწოდება.

ი 7/10

F 133
1958

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველობა

წლიური ხელმოწერის ფასი 30 მან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა

შეკვეთა № 555